კომუნისტი

№ 82 (937) პარასკევი 11 აპრილი 1924 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. — № 82 (937)

კოოპერატიული მშენებლობის საკითხები

[illegible]

გრალური თუ განცალკევებული კოოპერაცია (სამომხმარებლო, სასოფლო სამეურნეო, საკრედიტო), ერთი თუ ორი რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრი.

ამაზე წარმოებდა ხანგრძლივი და ცხოველებული დისკუსია პრესაში, [illegible]ებებზე.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა თათბირმა განაცხადა: ერთიანი კოოპერაცია და ერთი კოოპერატიული ცენტრი.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ თათბირის დადგენილება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ თითქო კურსი აღებული იყოს უმთავრესად სამომხმარებლო კოოპერაციაზე, ხოლო საწარმოო ამოცანები მეორე რიგში იყოს დაყენებული. თათბირმა გარკვევით აღნიშნა, რომ კოოპერაციის მიზანია ხელის შეწყობა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის და რომ მთლიანი კოოპერაციის ცალკე დარგებსა და განყოფილებებს შორის (საქონლის გასაღება, მოხმარება, საწარმოო ამოცანები, საკრედიტო ოპერაციები და სხ.) უნდა იყოს დაცული ისეთი პროპორცია, რომელსაც მოითხოვენ ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური პირობები და მოსახლეობის ინტერესები.

აღსანიშნავია აგრეთვე თათბირის დადგენილება კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის დამოკიდებულების შესახებ. ეს საკითხი დღემდე არ იყო სათანადოთ მოწესრიგებული. პარალელურად აწარმოებდნენ წვრილ ვაჭრობას კოოპერატივებიც და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებიც. ამას ჰქონდა გამართლება: კოოპერაცია არ იყო იმდენად მძლავრი და მოწყობილი, რომ სავსებით შესძლებოდა მთელი წვრილი ვაჭრობის თავის ხელში აღება და ამ საქმიდან სახელმწიფოს განთავისუფლება. ხოლო ვინაიდან წვრილი ვაჭრობის დაპყრობა, ფართე მასსისათვის სამრეწველო საგნების უშუალოდ მიწოდება და ამით კერძო კაპიტალის დამარცხება ამ დარგში უდიდესი მნიშვნელობის და ამასთან გადაუდებელი საკითხი იყო, —მთავრობა იძულებული გახდა ხელი მოეკიდა წვრილი ვაჭრობის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისათვის და ამ მიზნით შეექმნა სათანადო აპარატიც.

მაგრამ რამდენადაც კოოპერაცია ძლიერდება, იმდენად მიზანშეწონილია წვრილი ვაჭრობა და წვრილი—საბითუმო ვაჭრობა და ამისათვის საჭირო საქონლის ფონდები, განსაზღვრულ ხელშეკრულებითი საფუძვლებზე, თანდათანობით გადაეცეს მას.

ამით სახელმწიფო განთავისუფლდება ზედმეტი საქმეებისაგან და [illegible]

ნანსებით გაძლიერების საკითხი და მიიღო ამ მხრივ მთელი რიგი გადაწყვეტილებანი.

კოოპერაციის წარმატებითი მუშაობისათვის საჭიროა არა მარტო ფინანსები, არა მარტო ამოცანების სწორად დასახვა, — აუცილებელია ამასთან თვით კოოპერატიული აპარატის რეორგანიზაცია და მისი პირადი შემადგენლობის გადარჩევა.

კოოპერაციის აპარატი უნდა გახდეს უფრო მოქნილი და მარტივი, მისი მუშაკებიც უფრო მომზადებულნი, შემგნებნი თავიანთ მოვალეობის და ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებულნი.

არ შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ყოფილიყოს. მძიმე, მოუხეშავი იყო კოოპერაციის აპარატი, ბევრგან ზედმეტი შტატიც გააჩნდა მას, მუშაკებიც არ იყვნენ ყველგან სათანადოდ შერჩეულნი. ეს გარემოება აშორებდა კოოპერაციას მომხმარებელს, ზრდიდა მის საორგანიზაციო ხარჯებს, და სხ.

თათბირმა ყველაფერ ამაზე იქონია მსჯელობა და აუცილებლად სცნო კოოპერატიულ აპარატის რეორგანიზაცია, მისი გამარტივება, მისთვის მეტი ელასტიური ხასიათის მიცემა, მისი გამაგრება მომზადებული მუშაკებით.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც იდგა თათბირის დღის წესრიგში. ჩვენ ვლაპარაკობთ ქალთა მასსის ჩაბმაზე კოოპერატიულ მშენებლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი პოლიტიკურად თავისუფალია ჩვენში, თანასწორია მამაკაცთან, მას მაინც ვერ დაუხწევია თავი კარჩაკეტილი მდგომარეობისათვის, ის კერასაც და ოჯახსაა მიკრული, ის კიდევ ვერ გამოსულა საზოგადო ცხოვრების სარბიელზე.

ქალთა შრომის კოოპერატიული ორგანიზაცია, ერთი მხრით, მეორე მხრით—მათი განთავისუფლება ზოგიერთი საოჯახო საქმეებისაგან, კოოპერატიულ სასადილოების, სამრეცხაოების და სხვა ასეთების მოწყობით,—დიდ როლს ითამაშებს ქალთა ფაქტიური განთავისუფლების საქმეში

თათბირმა დასახა მთელი რიგი ზომები მშრომელ ქალთა ჩასაბმელად კოოპერაციის მუშაობაში.

მრავალმხრივი იყო ეხლახან დასრულებული კოოპერატიული თათბირის მუშაობა და მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ გამოტანილი დადგენილებანი.

თათბირიდან სოფლად დაბრუნებულმა ამხანაგებმა უნდა იხმარონ ყოველი ღონე მიღებულ დადგენილებათა გასატარებლად, კოოპერაციის ასამოძრავებლად.

გერმანიის კომპარტია და რეიხსტაგის არჩევნები

ამჟამად წარმოებულ რეიხსტაგის არჩევნებში გერმანიის კომპარტიის პოზიცია არსებითად განსხვავდება სხვა პარტიების პოზიციისაგან. ყველა პარტიები—ესდეკებიდან დაწყებული გერმანის ნაციონალისტებამდე—იმ აზრის არიან, რომ ისინი მოახერხებენ მიაღწიონ თავის მიზნებს რეიხსტაგის დახმარებით. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა და ცენტრის ბურჟუაზიულ პარტიებისათვის ეს იქვს გარეშეა. მაგრამ გერმანიის ნაციონალისტებიც კი არ უარყოფენ იმას, რომ მემარჯვენეების გამარჯვებით არჩევნებში ისინი შექმნიან „ძლიერ მემარჯვენე ნაციონალისტურ მთავრობას“. რაც შეეხება სახალხო პარტიას, ის, მიუხედავათ ყოველგვარ მაღალ ფრაზებისა პარლამენტარიზმის წინააღმდეგ, ნამდვილათ ხელის შემწყობია გერმანიის ნაციონალისტური პარტიის, როგორც ეს უკვე დაამტკიცა მან მეკლენბურგში და ტიურინგიაში. სა- [illegible]

ცნობს ასეთი პარლამენტის დადგენილებებს, არამედ ის ძალით ერეკება სახალხო წარმომადგენლობას. საკმარისია მხოლოდ მოვიგონოთ წარსულ შემოდგომაზე საქსონიაში და ტიურინგიაში მომხდარი ამბები. ორივე ამ სახელმწიფოებში, სოციალისტური და კომუნისტური მთავრობები ეყრდნობოდენ სრულიად კონსტიტუციონურ საპარლამენტო უმრავლესობას. ორივე მთავრობები და მათი უმრავლესობა მხოლოდ ნაწილობრივ, რამდენათაც ისინი შედგებოდენ კომუნისტებისაგან, იყვნენ ანტი-კაპიტალისტური, მემარცხენე სოციალ-დემოკრატები კი, რომელნიც ისხდნენ საქსონიის და ტიურინგიის მთავრობაში და ლანდტაგში, პირიქით, ბურჟუაზიის გადაცმული აგენტები იყვნენ. მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიას უნდოდა, რომ საქსონიაში და ტიურინგიაში ყოფილიყო კომუნისტებისაგან გაწმენდილი მთავრობა. და აი, რომ ამისათვის მიეღწია, მან დააფურთხა კონსტიტუციონური არჩევნების შედეგებს. ტიურინგიაში ლანდტაგის ბურჟუაზიამ მიმართა გენერალ ჰასსეს, საქსონიაში კი—გენერალ მიულლერს. ორივე გენერლების მოქმედებამ აშკარათ დაამტკიცა „პარლამენტარიზმის“ და „დემოკრატიის“ მნიშვნელობა ეხლანდელ გერმანიაში.

პარლამენტარიზმის მაგივრათ კომუნისტები აყენებენ საბჭოების სისტემას. ის, ვინც 4 მაისს ხმას მისცემს კომუნისტურ კანდიდატებს, ის ამით დაამტკიცებს, რომ მას აღარ სურს კაპიტალისტური რესპუბლიკის რეიხსტაგი, არამედ ის მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებას. საბჭოთა კონსტიტუცია იმ სახით, როგორითაც ის ეხლა არსებობს რუსეთში, აუქმებს განსხვავებას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების შორის. ეხლანდელი პარლამენტები მხოლოდ სალაყბო დაწესებულებებია, რადგან ისინი თვითონ არ ასრულებენ თავის დადგენილებებს. შესრულება—ეს მაღალი ბიუროკრა- [illegible]

ვენ მშრომელ მასებს, საბჭოთა სისტემაში სულ სხვა ხასიათს იღებს. პროლეტარიატის დიქტატურის დროს სახელმწიფო ხდება ძალდატანების აპარატათ, რომლის დახმარებითაც მშრომელი მასები ძარშივე სპობენ კონტრ-რევოლუციის შესაძლებლობას კაპიტალისტების მხრიდან. რუსეთის მუშები და გლეხები საბჭოთა სისტემის წყალობით თვითონ განაგებენ თავის საქმეს; საბჭოების დახმარებით რუსეთის მუშებმა და გლეხებმა დაამთავრეს თავისი განთავისუფლების საქმე და დააარსეს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს საერთაშორისო კაპიტალის ყველა თავდასხმებს.

პროლეტარიატის დიქტატურა მიმართულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ე. ი. იმ სოციალურ ნაწილის წინააღმდეგ, რომლის ხელშია წარმოების იარაღები და რომელსაც შეუძლია აიძულოს სხვა ადამიანები გააქირავონ თავისი ძალა. პროლეტარიატის დიქტატურის მუშტი მიმართულია მსხვილი კაპიტალისტის, ფაბრიკანტის, ბანკირის და მსხვილ მემამულეების წინააღმდეგ. საშუალო ფენებისა და ინტელიგენციისათვის პროლეტარიატის დიქტატურა საშიში არ არის; პირიქით, პროლეტარიატის დიქტატურა ანთავისუფლებს ამ საზოგადოებრივ ფენებსაც მათი მოსისხლე მტრის—მსხვილი კაპიტალისტის ბატონობისაგან.

გერმანიის კომპარტია—ეს არის საბჭოთა სისტემის (საბჭოთა წესწყობილების) და პროლეტარიატის დიქტატურის პარტია. ამით განსხვავდება ის ყველა იმ დანარჩენ პარტიებისაგან, რომელნიც ეხლა საარჩევნო ბრძოლას აწარმოებენ. კომუნიზმი არის მოძღვრება პროლეტარიატის განთავისუფლების შესახებ. მაგრამ მხოლოდ თავისი დიქტატურის განხორციელებით შეუძლია პროლეტარიატს მიაღწიოს სრულ განთავისუფლებას.

„როტე ფანე“, 25 მარტი.

კომინტერნის მე-5 კონგრესისათვის

მოსკოვი. 10 აპრილი. ამხ. ზინოვიევის წერილში, რომელიც მიმართულია კომინტერნის ყველა სექციებისადმი კომინტერნის 5-ე კონგრესის გამო, აღნიშნულია, რომ მომავალმა კონგრესმა საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს კომინტერნის პროგრამა და განსაზღვროს კომინტერნის შემდეგი ტაქტიკა დღევანდელ საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით. კონგრესმა ჯამი უნდა გაუკეთოს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გატარებას წარსულ წლების განმავლობაში.

კომინტერნი მოქმედებს ამჟამად ორ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის ტალღათა შეჯახების პერიოდში. ერთმა ტალღამ ჩაიარა, მეორე მხოლოდ ეს არის მოდის. ასეთ ხანაში კომუნისტებმა უნდა იბრძოლონ ერთ და იმავე დროს ლიკვიდატორობის წინააღმდეგ მარჯვნივ და „მემარცხენე“ ფრაზების წინააღმდეგ მარცხნივ.

კომინტერნის ყრილობა განიხილავს კომპარტიების მდგომარეობას საბჭოთა კავშირში, გერმანიაში, იტალიაში, ბულგარეთში, ინგლისში, შეერთებულ შტატებში და იაპონიაში საბჭოთა კავშირის საკითხში კონგრესი გაუკეთებს ჯამს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში განვლილ წლებს და იტყვის გადამწყვეტ სიტყვას დისკუსიის გამო. კონგრესი შეაფასებს გერმანიის კომპარტიის შინაურ ბრძოლას, რომელიც დაკავშირებულია გერმანიის პროლეტარიატის ოქტომბრის გამოსვლებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს კონგრესი საკითხს პროფკავშირების შესახებ, და ალბათ, კატეგორიულად გაილაშქრებს სოციალ-დემოკრატიულ პროფკავშირებიდან რევოლუციონურ მუშების გამოსვლის წინააღმდეგ და გადასწყვეტს საკითხს პროფკავშირებიდან გამორიცხულ მუშების დარაზმვის შესახებ.

კონგრესი განიხილავს აგრეთვე ეროვნულ საკითხს. უკანასკნელს თეორიული საფუძვლები ჩაუყარა ამხ. ლენინმა, ხოლო კონგრესი მოუნახავს მას უფრო კონკრეტულ გამოყენებას სხვადასხვა ქვეყნებში.

კონგრესი განიხილავს საკითხს გლეხობასა და ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების შესახებ.

კონგრესი განიხილავს აგრეთვე პროპაგანდის და ახალგაზრდობის მოძრაობის საორგანიზაციო საკითხებს. ახლო მომავალში ჩვენ შევძლებთ შევამოწმოთ კომუნისტების ძალები იტალიის, გერმანიის და საფრანგეთის პარლამენტების არჩევნებში. კომუნისტები, რა თქმა უნდა, არ აძლევენ დიდ მნიშვნელობას საპარლამენტო არჩევნებს, მაგრამ უკანასკნელი საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ ჩვენი გავლენა მასებზე. ლენინის მნიშვნელოვანი ანდერძი არის, მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობა. ულენინოთ, მაგრამ ლენინის გზით, ასეთი იქნება კომინტერნის მეხუთე კონგრესის ლოზუნგი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკ. როსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა სისტემით

ვლადივოსტოკი. 10 აპრილი. იაპონური გაზეთი „იოროძუ“ იუწყება, რომ გაუდუნის პროვინციის მთავრობამ ჩინეთში გადასწყვიტა გარდაქმნას სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა საბჭოთა სისტემის მიხედვით.

პოლონეთის მთავრობის ტერორი

პოლონეთის განაპირა მხარეების მდგომარეობა

ხარკოვი. 10 აპრილი პოლონეთიდან გადმოხვეწილ ლტოლვილების ცნობით, პოლონეთის პრემიერ გრაბსკისთან გაიმართა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი პოლონეთის განაპირა მხარეების მდგომარეობის შესახებ. თათბირის მონაწილეები მიუთითებენ განსაკუთრებულ გამწვავებულ ურთიერთობაზე ადგილობრივ მცხოვრებლებსა და პოლონეთის ხელისუფლების შორის. აღმოსავლეთ გალიციაში და უკრაინელებს შორის ძლიერდება სასტიკი მძულვარება ყოველგვარ პოლონურისადმი. დახურულია უკრაინული გაზეთები და სტამბები, დაშლილია უკრაინული პარტიები, ციხეები სავსეა უკრაინელ რედაქტორებით, ჟურნალისტებით, მოწაფეებით, გლეხებით და მუშებით გალიციის და პოლონეთის ბელორუსიის გლეხობა აუარებელ ხარკს იხდის. გალიციელ და ბელორუსელ საზოგადო მოღვაწეებს უთვალთვალებენ პოლონეთის „ოხრანკის“ ჯაშუშები.

პოლონეთის ბელორუსიის მემამულეების კავშირის თავმჯდომარის ცნობით განაპირა მხარეებში ცხოვრება აუტანელი ხდება, ავაზაკების ხშირი თავდასხმის გამო. ეს თავდასხმა ატარებს უფრო პოლიტიკურ ხასიათს, ვინემ ბანდიტურს.

საკითხი განაპირა მხარეების შესახებ განხილულ იქნება მინისტრთა საბჭოს პოლიტიკური კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე. ამ უკანასკნელ დღეებში პოლიციამ მოახდინა ლვოვში ჩხრეკა, ცდილობდა რა აღმოეჩინა უკრაინის დელეგაცია, რომელსაც განზრახული ჰქონდა გამგზავრება ლონდონში მაკდონალდის მთავრობისათვის პოლონეთის განაპირა მხარეებში შექმნილი მდგომარეობის გასაცნობად.

პოლონეთის ოპოზიციონური გაზეთები ბეჭდავენ მოწოდებას პეტლიურას ყოფილ ჯარისკაცების და ოფიცრებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, ვინაიდან უკანასკნელები პოლონეთის მთავრობამ აუტანელ პირობებში ჰყავს ჩაყენებული. ჯარისკაცები ძონძებში არიან გახვეულნი და მოწყალებას ითხოვენ. ზოგიერთი პეტლიუროველები ვადაგზავნილი არიან სამუშაოდ ამერიკაში, სადაც იღუპებიან სიცხისა და ციებისაგან.

არჩევნების შედეგები იტალიაში

ფაშისტების დიქტატურა.

რომი. 8 აპრილი. გამოქვეყნებულია არჩევნების შედეგები. მიცემულ 7 მილიონ ხმიდან ფაშისტებმა მიიღეს 4,200,000 ხმა, ლიბერალებმა და ფილო-ფაშისტებმა—520,000, ლიბერალურ-კონსტიტუციონურმა ოპოზიციამ—260,000, „პოპოლიარიმ“—650,000, რესპუბლიკანელებმა—130,000, რეფორმისტებმა—440,000, სოციალ-მაქსიმალისტებმა—350,000. კომუნისტებმა 190,000; რეფორმისტებმა და სოციალ-მაქსიმალისტებმა მიიღეს პარლამენტში 48 ადგილი, (135 ნაცვლად, რომელიც ჰქონდათ წინად), კომუნისტებმა 17 ან 18 (ნაცვლად 15-ისა).

არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ ფაშიზმი რჩება უმრავლეს ძალათ, ფაშისტებმა პირველად 30 წლის შემდეგ მოახერხეს საერთო ნაციონალური პარტიის შექმნა ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად

მაგრამ არის აგრეთვე ნიშნები ფაშიზმის დასუსტებისა. ასე მაგ. ჩრდილოეთ იტალიაში ყველაზე ოპოზიციონურმა პარტიებმა შეაგროვეს მეტი ხმები, ვიდრე ფაშისტებმა, ფაშისტების გამარჯვება უზრუნველყვეს ჩამორჩენილმა ოლქებმა სამხრეთ და ცენტრალურ იტალიაში და სიცილიაში.

საფრანგეთის პრესის თავშეკავებული კომენტარიები.

პარიზი. 8 აპრილი. საფრანგეთის პრესა თავშეკავებულად უკეთებს კომენტარიებს იტალიაში მომხდარ პარლამენტის არჩევნებს.

„ჟურნალ ინდუსტრიელ“ საპარლამენტო ფაშიზმს საშიშრად სთვლის, რადგან მუსოლინი შესძლოა გახდეს პარლამენტის უმრავლესობის ტყვეთ და მას აღარ შეეძლება მეორე პაპის როლის თამაში.

მუსოლინის პარლამენტი.

ბერლინი. 8 აპრილი. რომიდან მიღებულ ცნობით, ფაშისტები ფიქრობენ, რომ არჩევნების საბოლოო შედეგები მისცემენ მუსოლინის მთავრობას 400 ადგილს 534 სადეპუტატო ადგილიდან.

რომი. 10 აპრილი. არჩევნების საბოლოო შედეგები: ყველა 15 საარჩევნო ოლქში მიცემულია 7.628.859 ხმა ე. ი. ამომრჩეველთა 63 პროც., წინააღმდეგ 52 პროც-ისა 1919 წ. და 58 პროც. ისა 1921 წელს, ორივე ოფიციალურმა ფაშისტურმა სიამ მიიღო 4 693 690 ხმა—ყველა მიცემულ ხმების 65,26 პროც.

შეხვედრა.

რომი. 10 აპრილი. იტალიაში იმართება ფაშისტური დემონსტრაციები. ქალაქები მორთულია. რომი ემზადება მილანიდან გამოსულ მუსოლინის შესახვედრად.

მდგომარეობა სპარსეთში

შახმა წინადადება მისცა მეჯლისის თავმჯდომარეს გადადგეს.

თეირანი. 8 აპრილი. დეპეშაში, რომელიც გაეგზავნა მეჯლისის თავმჯდომარეს, შახი მოითხოვს, სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობის გამო, დასმული იქნეს მეჯლისში საკითხი მისი გადადგომის და თეირანიდან გამგზავრების შესახებ.

სამხედრო სამინისტრო პრემიერმა გადასცა შტაბის უფროსს ამანულლე მირზეს.

მოძრაობა დამფუძნებელი კრების სასარგებლოდ.

თეირანი. 8 აპრილი. მიუხედავად პრემიერის განკარგულებისა რესპუბლიკანური მოძრაობის ჩაქრობის შესახებ, უკანასკნელი ძლიერდება და ღებულობს ბრძოლის ხასიათს დამფუძნებელი კრების გზით არჩეულ რეჟიმის შეცვლისათვის. პროვინციებიდან მოსული დეპეშები იმუქრებიან პროვინციების გამოყოფით, თუ არ იქნა მოწვეული დამფუძნებელი კრება.

რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდება

ტერორის გაძლიერება.

ვენა. 7 აპრილი. ვენის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ, რუმინეთის მთავრობამ გააძლიერა ტერორი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ეროვნულ უმცირესობათა შორის. ამის საბაბად გახდა ბევრ ქალაქებში ფაშისტების მიერ გამართული მანიფესტაციები, რომელთაც ჰქონდა ანტისემიტური ხასიათი. ფაშისტების გამოსვლამ საბაბი მისცა მთავრობას გაეძლიერებია უმცირესობით დასახლებულ ოლქებში განსაკუთრებული მდგომარეობა, მაგრამ არა ფაშისტების, არამედ მუშათა უმცირესობათა წინააღმდეგ.

მუშათა და გლეხთა მთავრობის სასარგებლოთ.

ვენა. 7 აპრილი. ბესარაბიის დაბა რომანაცში მომხდარ პარლამენტის დამატებით არჩევნებში ბიულეტენების უმრავლესობაზე კანდიდატის გვარის ნაცვლად დაწერილია: „მხარს უჭერს მუშათა და გლეხთა მთავრობას“.

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ოდესა. 9 აპრილი. ბესარაბიიდან ჩამოსული ლტოლვილები იუწყებიან, რომ რუმინეთის და, განსაკუთრებით, რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები შეშფოთებული არიან ბესარაბიის მომავალი ბედით, საჩქაროთ ჰყიდიან ქონებას და გადადიან ძველ რუმინეთში. რუმინეთის მთავრობა, ბესარაბიიდან ჩამოსულ რუს მემამულეთა თავიდან მოსაშორებლად შერჩევით აძლევს მათ ვიზებს ძველ რუმინეთში შესასვლელად.

დობრუჯაში ძლიერი ანტი-რუმინული მოძრაობაა. საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი რუმინეთში მცხოვრებ ბულგარელებს შორის სწრაფად იზრდება. ბულგარეთის წრეებში, შემჩნეულია ძლიერი ტენდენცია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ რუსეთ-რუმინეთის შორის შექმნილ დამოკიდებულების გამო.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისი.

საბჭოთა დელეგაციის ჩასვლა.

ბერლინი. 10 აპრილი. საბჭოთა დელეგაცია გუშინ ჩავიდა ლონდონში. კონფერენციის გახსნა განზრახულია მიმდინარე კვირის ბოლოში.

საბჭოების დაცვა.

ლონდონი. 8 აპრილი. „დეილი ნიუზ“-ი პროტესტს აცხადებს საბჭოთა დელეგაციის წევრების წინააღმდეგ გალაშქრების გამო და აღნიშნავს, რომ ბოლშევიზმის მიმართ არსებობდა არანორმალური თვალთმაქცობა, რომელიც სძლია მუშათა მთავრობის სალმა გადაწყვეტილებამ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს: „საბჭოთა მთავრობას ბრალს სდებენ ანტი-ინგლისურ პროპაგანდაში. ბრალდება არ იქნებოდა პირფერული, რომ ინგლისის ანტი-საბჭოთა პროპაგანდა თავის მხრივ უფრო სუსტი იყოს.

ოსმალეთი.

შეთანხმება ოსმალეთთან.

მოსკოვი. 10 აპრილი. ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მიღწეულ შეთანხმების მიხედვით, ოსმალეთის ყველა სამხედრო და სამოქალაქო ტყვეებს, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა კავშირში, შეუძლიათ თავისუფლად დაბრუნდენ სამშობლოში.

რწმუნების სიგელების ჩაბარება

მოსკოვი. 10 აპრილი. ოსმალეთის ელჩმა ახმედ-მუხტარ-ბეგმა და ბუხარის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იუსუფ ზადემ ამხ. კალინინს ჩააბარეს რწმუნების სიგელები.

სპარსეთი.

საბჭოთა კავშირის საქონლის შეტანა სპარსეთში.

მოსკოვი 10 აპრ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში ამხ. შუმიაცკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს განზრახვა აქვს შეიტანოს სპარსეთში მიმდინარე წელში 1 მილიონი ფუთი შაქარი, მილიონი ფუთი ნავთი, 200 ვაგონი საფეიქრო ნაწარმოებები, ამდენივე ვაგონი ასანთი და ჭურჭლეულობა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს გეგმა შესრულებული იქნება.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

საბჭოთა კავშირის გარიგებანი ვენის ბაზრობაზე.

მოსკოვი. 10 აპრილი. ვენის ბაზრობაზე საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ დასდო უცხოეთის ფირმებთან მთელი რიგი მსხვილ ხელშეკრულებებისა ნავთზე, სკიპიდარზე, კალოშებზე და შინამრეწველობის ნაწარმოებზე დაახლოვებით 15 მილ. დოლარის რაოდენობით. ავსტრიის პრესის სიტყვით, საბჭოთა კავშირის ექსპონატები ვენის ბაზრობაზე წარმოადგენდენ ბაზრობის ყველაზე უფრო საინტერესო განყოფილებას.

კვერცხების ექსპორტი.

მოსკოვი. 10 აპრილი. დაიწყო კვერცხების ექსპორტი. პირველი პარტია ოდესიდან მივიდა ბერლინში 10 დღის განმავლობაში. გახსნა დასამზადებელი პუნქტები ორლოვის, ვორონეჟის და კურსკის გუბერნიებში. მიღებულია ზომები კვერცხების გაზიდვის დასაჩქარებლად ისე, რომ ლონდონში კვერცხები აღწევდეს 18 დღის განმავლობაში დასამზადებელ პუნქტში მიტანის შემდეგ.

რუსეთის პური სტოკჰოლმში.

სტოკჰოლმი. 10 აპრილი. მოვიდა გემი „გერმეს“-ი ნოვოროსიისკიდან და ოდესიდან დატვირთული 6,500 ტონა ქვავით და ხორბლით.

რა ხდება ინგლისში

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში

ლონდონი. 8 აპრილი. დღეს ღამით ინგლისის გემების სააშენებლო ყველა ქარხნებში იწყება მუშათა ლოკაუტი, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა. კავშირთა აღმასკომებმა წინადადება შეიტანეს საკითხისათვის კენჭის ყრის შესახებ თვითეულ პროფკავშირში. სპალენძის წარმოების პროფკავშირმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზე. მანქანების მუშების კავშირმა მასიურ მიტინგზე გადასწყვიტა არ განაახლონ მუშაობა. მემანქანეები, მჭედლები, ელექტრო-ტეხნიკოსები მოითხოვენ ხელფასის 1 გირვანქით გადიდებას კვირაში. სამთომადნო მუშათა ორი კავშირი მოითხოვენ ხელფასის 10 შილინგით გადიდებას.

რ. კ. პ. ცეკას პლენუმის მუშაობა

რა უნდა გავაკეთოთ

მოსკოვი. 10 აპრილი. ამხ. კამენევმა რუსეთის კომპარტიის მოსკოვის ორგანიზაციის იაჩეიკების მდივანთა კრებაზე გააკეთა მოხსენება ცეკას პლენუმის მუშაობის შესახებ. ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ პლენუმმა ზედმიწევნით განიხილა ფულის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები და პირველ რიგში საკითხი კოოპერაციის და შინაურ ვაჭრობის კომისიის შესახებ. პლენუმმა აღიარა, რომ ეს ორგანოები ძალიან სუსტნი აღმოჩნდენ და საჭიროა მათი გაძლიერება იმ როლის მიხედვით, რომელიც მათ უნდა ითამაშონ ფულის რეფორმის წარმატებით გატარების საქმეში.

რეფორმის პირველი ნაბიჯები—აღნიშნა ამხ. კამენევმა,—გადადგმულია, მაგრამ კერძო კაპიტალი ფასების აწევით სცდილობს რეფორმის ჩაშლას. ბაზარზე კერძო კაპიტალის როლის შესახებ ლაპარაკობენ შემდეგი ციფრები: მოსკოვის საქონლის ბირჟის ცნობებით წარსულ წლის აგვისტოში კერძო კაპიტალმა შეიძინა მთელი მანუფაქტურის 30 პროც., მიმდინარე წლის თებერვალში—60 პროც. თუ ჩვენ არ განვდევნით კერძო კაპიტალს დაკავებულ პოზიციებიდან და არ დავიპყრობთ ბაზარს, ფულის რეფორმას სერიოზული საფრთხე მოელის.

მიიღო რა მხედველობაში შექმნილი მდგომარეობა, პლენუმმა დაადგინა გარდაქმნას შინაურ ვაჭრობის კომისია განსაკუთრებულ სახ. კომისარიატად და დაუქვემდებაროს მას მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციებისა და სააქციონერო საზოგადოებათა. აგრეთვე მან საჭიროთ მიიჩნია მოახდინოს „ცენტროსოიუზის“ ძირითადი რეორგანიზაცია და სავაჭრო ორგანოდან გადააქციოს იგი კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოთ, რომელიც გაატარებს სათანადო სავაჭრო პოლიტიკას.

პლენუმმა საჭიროთ ჩასთვალა დაუყონებლივ გატარებულ იქნას ცხოვრებაში კოოპერაციის თავისუფალი წევრობის პრინციპი.

ახლოებელი ყრილობები

ამიერ-კავკასიის პროფკავშირების კონფერენციის მოწვევა

მოსკოვი. 10 აპრილი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნეს ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა კონფერენცია 25 აპრილიდან 1 მაისამდე და დაამტკიცა დღის შემდეგი წესრიგი: სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, ამიერ-კავკასიის ბიუროს ა.-კ. ეკონომიურ საბჭოს, შრომის სახალხო კომისარიატის და მუშათა კოოპერაციის მოხსენებები, არჩევნები და მიმდინარე საქმეები. დამტკიცებულია წარმომადგენლობის ნორმები: ერთი დელეგატი ათას ხუთას წევრზე; ნაშთი ათას წევრზე ჩაითვლება როგორც სრული ათას ხუთასი წევრი. დელეგატების არჩევნები ხდება კონფერენციებზე ან ცალკე კავშირების გაფართოებულ სადელეგატო კრებებზე. ის კავშირები, რომელთა წევრების საერთო რიცხვი ნაკლებია ათას ხუთასზე, არჩევნებს ახდენენ საკავშირთაშორისო საქალაქო კონფერენციებზე ის მაზრები, რომლებიც აერთიანებენ ათას ხუთასზე ნაკლებ წევრებს, გზავნიან ერთ დელეგატს გადამწყვეტი ხმის უფლებით. მაზრებში დელეგატები არჩეულ უნდა იქნენ საკავშირთაშორისო სამაზრო კონფერენციებზე. პროფკავშირთა საბჭოებს და საოლქო პროფორგანოებს უფლება ეძლევათ გამოგზავნონ ერთი დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

პროფკავშირების მეექვსე ყრილობა.

მოსკოვი. 9 აპრილი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირების მეექვსე ყრილობა დანიშნა 1 მაისისთვის.

მეთორმეტე სახღვაო ყრილობა.

მოსკოვი. 9 აპრილი. ცენტრალურმა სახღვაო სამმართველომ დაადგინა მოიწვიოს ხარკოვში 12 აპრილს ყრილობა, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი სამხრეთის ნავთსადგურების შესახებ პურის ექსპორტის კამპანიისათვის.

რკინისგზელთა ყრილობა.

მოსკოვი. 9 აპრილი. 15 აპრილს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის რკინისგზელების პროფკავშირთა ყრილობა.

ამხ. ტროცკი სოხუმში

(საუბარი აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლაკობასთან)

ჩვენი კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ლაკობამ შემდეგი განაცხადა ამხ. ტროცკის დასვენების შესახებ. იმას, ვინც ნახა ამხ. ტროცკი მისი ჩამოსვლის დროს სოხუმში და ხედავს დღეს, ერთბაშად თვალში ხვდება განსხვავება მის ჯანმრთელობაში წინად და ეხლა. დღეს ის გამოიყურება სავსებით ჯანსაღად, მხნედ და მხიარულად.

ორი თვე ნახევარი დაჰყო ამხ. ტროცკიმ აფხაზეთის ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის „დასასვენებელ სახლში“ (სუბტროპიკული ფლორა). პირველ ხანებში ის არ გამოდიოდა სახლიდან, ხოლო შემდეგ ყოველდღე გამოდიოდა სასეირნოთ ერთი-ორი საათით. უკანასკნელ ხანებში ის გადიოდა სასეირნოთ ხანგრძლივად. ერთ ასეთ სეირნობაში მონაწილეობა მიიღო სოხუმში მყოფმა ამხ. მიასნიკოვმა.

ამხ. ტროცკი ხშირათ დადიოდა სანადიროთ. ადგილობრივმა მონადირე გლეხებმა მაშინვე იცნეს მასში თავისი ამხანაგი და მართლაც ლევ დავიდოვიჩი კარგი მსროლელი აღმოჩნდა. ზღვაზე ნავიდან ის ჰკლავს გაფრენილ ფრინველს; სოხუმის მიდამოებში არ დაუტოვებია მას არც ერთი ტბა, სადაც მას არ მოეკლას გარეული ფრინველი. ნადირობის დროს ის იჩენდა მისთვის ჩვეულ ენერგიას და სიმტკიცეს.

ამხ. ტროცკს ძალიან აინტერესებდა აფხაზეთის საქმეები, მისი ეკონომიური, ფინანსიური მდგომარეობა, ელექტროფიკაციის საკითხები და სხვ.

არა ნაკლებ ინტერესს იწვევდა მასში ჩვენი რესპუბლიკის ზნე ჩვეულებანი, სისხლის აღების ჩვეულება, რამდენადაც იგი აღმოფხვრილია.

საერთოთ მას არ დარჩენია ერთი წვრილმანი აფხაზეთის ცხოვრებიდან, რომელსაც არ შეხებოდა რამდენიმე სიტყვით და არ მოესურვებია მის შესახებ ინფორმაციის მიღება.

ადგილობრივი მცხოვრებლები განსაკუთრებული მზრუნველობით და ყურადღებით ეპყრობოდენ ამხ. ტროცკის. ყოველ მის გასვლას სანადიროთ მაშინვე იგებდენ სოფლელი გლეხები და სიამოვნებით მიჰყვებოდენ მას.

ლევ დავიდოვიჩის მეუღლეს, ნატალია ივანოვნას, მისი გულკეთილობისა, გლეხებისადმი სადა ქცევისათვის—გლეხებმა ხუმრობით უწოდეს „აფხაზელი“ ქალი.

ადგილობრივი ექიმი სთვლის ამხ. ტროცკის ჯანმრთელობას იმდენად გაუმჯობესებულად, რომ ტროცკის შეუძლია იმუშაოს ძველი ენერგიით.

ჩვენ კმაყოფილი ვიყავით ჩვენი სტუმრით და კიდევ მეტად ვიქნებით დაკმაყოფილებული, თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენ ბოროტად არ გვისარგებლია მისი დასვენებით.

სხვადასხვა ამბები

(„ზაკროსტა“-ს მასალებიდან)

● **რუმინეთის მთავრობის „ხაფანგი“.** გამოირკვა, რომ რუმინეთის მთავრობას საალყო წესები ბუქარესტში (რუმინეთის დედა-ქალაქი) შემოუღია არა ფაშისტების გამოსვლის საშიშროების გამო, არამედ იმის შიშით, რომ დააშინოს მცხოვრებლები, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირს ბესარაბიის საკითხში.

● **მეტალისტთა გაფიცვა გერმანიაში.** ზემო სილეზიაში დაიწყო მეტალისტთა გაფიცვა. უკვე კარგა ხანია, რაც გრძელდება სამთო-მადნო მუშათა გაფიცვა.

● **„სტუმარი“.** პოლონეთის პრეზიდენტმა 8 აპრილს სადარბაზოთ მიიღო პოლონეთში „სტუმრად ჩამოსული“ რუმინეთის გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი ფლორესკუ.

● **გაფიცვა საფრანგეთში.** მიუხედავათ მწარმოებლების მიერ მიღებულ სასტიკი ზომებისა, სენტ-ეტიენის საავტომობილო ქარხნების მუშები განაგრძობენ გაფიცვას. რუანის საფეიქრო წარმოებებში იმარჯვებენ მუშები, რომლებმაც აიძულეს მწარმოებლები დათმობაზე.

● **საფრანგეთის ვალები.** 7 აპრილს საფრანგეთიდან ინგლისში გაიგზავნა 13 ყუთი ოქრო იმ ვალების გადასახდელად, რომელიც საფრანგეთის მიერ აღებული იყო ომის გაგრძელებისათვის. აღნიშნული ოქრო დღევანდლამდის ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბანკში.

● **რუმინეთი უკმაყოფილოა.** ცწვავდება იტალია-რუმინეთის კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ იტალია დღევანდლამდის არ ამტკიცებს რუმინეთისათვის ბესარაბიის შეერთების აქტს. თავის მხრივ იტალია იმუქრება რუმინეთის საქონლისათვის ბოიკოტის გამოცხადებით.

● **შვეციის ფაშისტები.** გამოქვეყნდა შვეციის ფაშისტების „პროგრამა“: ბრძოლა კომუნისტებთან, გაფიცვების წინააღმდეგ და „მშვიდობიანობის“ დაცვა.

● **მიწისძვრის რაოდენობა.** 1923 წლის 1 ენკენისთვიდან 1924 წლის 15 მარტამდე ტოკიოს (იაპონია) რაიონში ყოფილა 5 ათას ოთხასი მიწის-ძვრა.

● **პირველი მაისის ზეიმისათვის** შვეციის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება პირველი მაისის ზეიმისათვის. მოწოდებაში აღნიშნულია საბჭოთა კავშირის მუშების გამარჯვება. „არც ერთი ჯარის კაცი, არც ერთი კაპეიკი ბურჟუაზიულ თავდაცვას“—ასე თავდება მოწოდება.

● **ლატვიის მთავრობის „მეჯლისობა“.** გაზეთები იტყობინებიან, რომ ლიბავაში კიდევ დაატუსაღეს კომუნისტები. ამ ბოლო დროს კომუნისტების დატუსაღებამ მასიური ხასიათი მიიღო.

● **გაფიცვა უნგრეთში.** თითქმის ყველა საგაზეთო წარმოებებში გამოცხადებულია მბეჭდავთა გაფიცვა. სოციალ-დემოკრატიულმა ყვითელმა პროფკავშირებმა უარი განაცხადეს მბეჭდავთა მხარის დაჭერაზე.

წითელი რადიოგრამები

რუსეთი

პირველი მაისის დღესასწაული საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 10 აპრილი. პირველ მაისის დღესასწაულზე საბჭოთა კავშირში გერმანიიდან ჩამოდის მუშა-სპორტსმენების კომანდა რიცხვით 15 კაცი. კომანდა მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის ზეიმში და შემდეგ ინახულებს უკრაინას და საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებს.

ფულის გადაგზავნა ამიერ-კავკასიაში.

მოსკოვი. 10 აპრილი. ფინანსთა სახ. კომისარიატის განკარგულებით, ფულის გადაგზავნა, რომელიც ხდებოდა კურსის მიხედვით ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით გასტუმრების გზით, შეწყვეტილია. გადასაგზავნი ოპერაციები ამიერ-კავკასიაში იწარმოებს მხოლოდ მტკიცე ვალიუტით. ამავე დროს ეწყობა ბლანკების გადაგზავნა უშუალოდ დანიშნულების ადგილებზე, საკონტროლო პუნქტების—ბაქოს და თბილისის გარეშე.

ოდესა—ჰამბურგის ხაზი.

ოდესა. 9 მარტი. მოხალისე ფლოტი ამ დღეებში ხსნის ოდესა—ჰამბურგის საზღვაო ხაზს, რომელიც უმოქმედოთ იყო დატოვებული 10 წლის განმავლობაში.

ამიერ-კავკასიისათვის საფეიქრო საქონლის სასწრაფოდ მიწოდება.

მოსკოვი. 9 აპრილი. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მიაქცია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საფეიქრო სინდიკატის ყურადღება იმაზე, რომ ამიერ-კავკასიის ბაზარს მიეწოდოს სასწრაფოდ საფეიქრო საქონელი მისთვის უფრო შესაფერი ასორტიმენტიდან.

„აზნეფტის“ და „გროზნეფტის“ ახალი საწარმოო პროგრამები.

მოსკოვი. 9 აპრილი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ დაამტკიცა „აზნეფტის“ და „გროზნეფტის“ საწარმოო პროგრამები. „აზნეფტის“ ნავთის ამოღება განისაზღვრება 226 მილიონ ფუთით. „გროზნეფტის“ 81 ნახ. მილიონ ფუთით. ბურღვის პროგრამა „აზნეფტი“-სათვის შემცირებულია 37,000 საჟენამდე, წინათ უდრიდა 41,000, ხარჯები კაპიტალურ მუშაობისათვის განისაზღვრება 19 ნახ. მილიონ მანეთით.

პროვოკატორის დახვრეტა.

სარატოვი. 9 აპრილი. საგუბერნიო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა პროვოკატორ ტიხომიროვს, რომელიც კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას ეწეოდა და ღალატობდა რევოლიუციონერებს 1909 წლიდან.

უკრაინა

სავაჭრო ბრუნვის გაცხოველება უკრაინაში.

ხარკოვი. 9 აპრილი. უკრაინის ქალაქებში: პოლტავაში, ხარკოვში, ჟიტომირში, ვინნიცაში, პენზაში, ვორონეჟში და სხვა ადგილებში ხურდა ფულის კრიზისის შენელებამ გამოიწვია სავაჭრო ბრუნვის შესამჩნევათ გაცხოველება.

კიევის ბაზრობა.

კიევი. 9 აპრილი. კიევის ბაზრობის სავაჭრო ბრუნვა პირველ 12 დღის განმავლობაში უდრის 8 ნახ. მილ. მანეთს 2 მილიონის წინააღმდეგ, რომელიც იყო წარსულ წელს იმავე პერიოდში. გასაღების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს საფეიქრო ნაწარმოებებს, შემდეგ სასურსათო პროდუქტებს, ლითონებს და სამშენებლო მასალებს. სოფელი შესამჩნევ მონაწილეობას იღებს ბაზრობაზე; სოფლელები ყიდულობენ, უმთავრესათ, ლითონის ნაწარმოებებს, ინვენტარს და სამშენებლო მასალებს. გამყიდველების სათავ გამოდიან, უმთავრესათ, სახელმწიფო ორგანოები. კერძო ვაჭრების რიცხვი წარსულ წელთან შედარებით შემცირდა 6 პროც. მყიდველებს შორის პირველი ადგილი უჭირავს სოფლის კოოპერაციას.

უკრაინის მრეწველობის მუშათა რაოდენობა.

მოსკოვი. 10 აპრილი. უკრაინის მთელს მრეწველობაში მუშაობს 318,000 მუშა და 38,000 მოსამსახურე—60,000-ით მეტი—გასულ წელთან შედარებით.

საკავშირო ცაკ-ის სესიისათვის

დღის წესრიგი

მოსკოვი. 10 აპრილი. საკავშირო სახკომისართა საბჭომ დაამტკიცა იმ საკითხების სია, რომელიც უნდა იქნას დასმული საბჭოთა კავშირის სესიაზე: 1) საბაჟო კოდექსი, 2) ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი, 3) კანონმდებლობათა კოდექსი წითელარმიელთა და მათი ოჯახებისათვის შეღავათის მიცემის შესახებ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას დროს; 4) შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატის შექმნა და მასთვის სასურსათო სახალხო კომისარიატის ფუნქციების, ქონების და დაწესებულებათა გადაცემა; 5) კანონთა კოდექსი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ და 6) ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენება შემოსავლის კვალობაზე გადასახადის კამპანიის ჩატარების შესახებ მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში.

ფულის რეფორმა

აპრილის სამუშაო ხელფასი

მოსკოვი. 9 აპრილი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა დაწესებულ იქნეს აპრილის მინიმალური სამუშაო ხელფასი პირველი სარტყელისათვის—6 ჩერვონეცის მანეთი, მეორესათვის—4 მან. 80 კაპ. და მესამე სარტყელისათვის—4 მან. და 20 კაპ. ყველა უწყებები, დაწესებულებები, სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან დაურიგონ მოსამსახურეებს ჯამაგირის 80 პროცენტი არა უგვიანეს 20 აპრილისა დანარჩენი კი არა უგვიანეს 10 მაისისა. იმ მოსამსახურეების გასტუმრება, რომლებიც ღებულობენ 80 მანეთამდე, ხდება სავსებით 15 და 20 აპრილის შუა.

ჯაშუშების გასამართლება

განაჩენი

კიევი. 9 აპრ. დამთავრდა კიევის „მოქმედების საოლქო ცენტრის“ საქმე; „მოქმედების ცენტრს“ ბრალი ედებოდა კონტრ-რევოლიუციაში და ჯაშუშობაში პოლონეთის სასარგებლოდ. მსჯავრდებულთა შორის ოთხს—ჩუბაკოვს, იაკოვლევს, ეგინოვსკის და ვინოგრადოვს მიუსაჯეს დახვრეტა. ონიშენკო პავლიუკს, ნიკოლოზ და კონსტანტინე ვასილენკოს, ჩლენსკის, სმირნოვს და ტოლპიგას—10 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით, დანარჩენებს ერთი წლიდან 7 წლამდე დაპატიმრება. ბრალდებულებს უფლება მიეცათ გაასაჩივრონ განაჩენი და აღძრან შუამდგომლობა სრულიად უკრაინის ცაკის წინაშე პატიების შესახებ.

პუანკარეს „კაცთმოყვარეობა“

მოსკოვი. 9 აპრილი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა პუანკარესაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი თანაგრძნობას უცხადებს უნივერსიტეტთა სამეცნიერო წრეებს; ის გაფაციცებით თვალყურს ადევნებს კიევის პროცესის მსვლელობას და შიშობს, რომ სასამართლო სიკვდილით დასჯის განაჩენს გამოიტანს პროფესორებისათვის, რომელთა დანაკლისი გავლენას მოახდენს მსოფლიოს ინტელექტუალურ ღირებულებათა შემცირებაზე. მეცნიერებისა და ადამიანის უფლებათა გულისათვის, საფრანგეთის უნივერსიტეტები გთხოვენ, რომ მათ რუსს კოლეგებს არ მიესაჯოთ ეს სასჯელი, რომელიც მათ არ დაუმსახურებიათ. ცივილიზაციის და ჰუმანიურობის გულისათვის, საფრანგეთის მთავრობა უერთდება მთელი მსოფლიოს მეცნიერების სურვილებს“.

მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოების მუშაობა.

(ამხ. სვერდლოვის მოხსენება.)

„ეპოს“ ახალმა გამგეობამ მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის 24 თებერვლიდან.

ერთიან მომხმარებელ საზოგადოებას გახსნილი აქვს 5 სავაჭრო მაღაზია.

გამგეობა ღებულობს ზომებს, რათა ის დეფექტები, რომელსაც წინად ...

ახალმა პრეზიდიუმმა, ამ ხნის განმავლობაში შესძლო „ეპო“ ბრუნვის გაფართოება და ხარჯების შემცირება.

სწარმოებს მუშაობა მუშა-მოსამსახურეებზე ნისიათ საქონლის მიცემათ.

ეხება რა „მაკრატლის“ საკითხს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული დაღი დაასვა საერთოდ კოოპერაციას.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა მტკიცე კავშირი „ეპო“-სა და პროფორგანიზაციებს შორის, რაიც ამ ჟამად არ არის განხორციელებული.

კონფერენცია დაიხურა ღამის საათზე.

პარტიული ცხოვრება

რუსეთის კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციების საყურადღებოდ,

(რუსეთის კომპარტიის მეცამეტე მორიგ ყრილობის შესახებ)

რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი რუსეთის კომპარტიის მეცამეტე მორიგ ყრილობას ნიშნავს ა/წ. 20 მაისს.

დღის წესრიგი:

1) ცეკას პოლიტიკური ანგარიში.
2) ცეკას ორგანიზაციული ანგარიში.
3) ცენტრალურ სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ანგარიში.
5) კომინტერნის აღმასკომში მყოფი რ. კ. პარტიის წარმომადგენლობის ანგარიში.
6) შინაური ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ.
7) სოფელში მუშაობის შესახებ.
8) ახალგაზრდებს შორის მუშაობის შესახებ.
9) პარტიულ-ორგანიზაციულ საკითხების შესახებ.
10) პარტიის ცენტრალურ დაწესებულებების არჩევნები.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა რჩება წინანდელი: ...

რუსეთის კომპარტიის ყველა კანდიდატებს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ ყრილობის დელეგატების არჩევნებში

ცეკას მდივანი: ი. სტალინი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მიწის განაწილება.

ბაქო. 9 აპრილი. ქურთისტანში დაიწყო ხანების მიწების განაწილება მშრომელთა შორის.

ბაქოს საბჭოს ბიუჯეტი

ბაქო. 9 აპრილი. ბაქოს საბჭოს საგანგებო კომისია იხილავდა ბაქოს საბჭოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას. შემოსავალი უდრის—15,212,975 მან., გასავალი 17,527,159 მან.

რკინის გზების გაერთიანება.

ბაქო. 9 აპრილი. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველომ გახსნა კურსები კვალიფიციურ რკინის გზელ მუშების მოსამზადებლად აზერბეიჯანის რკინის გზაზე ეროვნულ ენის შემოღების მიზნით.

ნავთის პროდუქტების რეალიზაცია.

ბაქო. 9 აპრილი. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ დასდო ნავთის სინდიკატთან ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ნავთის პროდუქტების საკუთარი ფონდი განაღდებული უნდა იქნეს 1 აპრილიდან „აზნეფტორგის“ საშუალებით. სახალხო კომისართა საბჭო შეუდგა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფარგლებში 6 მილ. ფუთი ნავთის პროდუქტის რეალიზაციას. ფონდის ...

საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტები საქართველოში

გლეხთა კომიტეტები რუსეთში.

საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებს რუსეთში სამი წლის ისტორია აქვთ. იდეია გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების დაარსებისა რუსეთში ჩამოცენდა მოუსავლობის ნიადაგზე, სიმშილობის დროს. მაშინ ჩაეყარა მას რეალური საფუძველი და ამავე წელში ჩამოყალიბდენ, განმტკიცდენ და გარკვეული ორგანიზაციული სახე მიიღეს. მოუსავლობით შექმნილმა საერთო უბედურებამ და გაჭირვებამ რუსეთის გლეხს ქერო ადრე მოაფხანინა და დაარწმუნა, რომ ბრძოლა საერთო უბედურებასთან და გაჭირვებასთან შესაძლებელი და მოსახერხებელია მხოლოდ შეერთებულის ძალით.

ის რუსის გლეხი, რომელიც პირველად ერთობას და გაერთიანებას ეჭვის თვალით უყურებდა და ამ გაერთიანებიდან არაფერს გამოელოდა—დაბოლოს, გაჭირვების დროს, როდესაც ასეთი გაერთიანებიდან რეალური დახმარება დაინახა, დარწმუნდა, რომ ქალაქის მუშები თურმე ბრიყვები არ ყოფილან, რომ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქალაქებში კავშირები და სხვადასხვა ორგანიზაციები მოუწყვიათ.

როდესაც რუსეთში გლეხთა კომიტეტებში, გლეხობამ რეალური, თვალით დასანახი დახმარება დაინახა (სიმშილობის, ომლობის, ინვალიდობის, სიღარიბის, გაჭირვებისა და სტიქიური უბედურების დროს დახმარების აღმოჩენა) სტიქიურათ იწყო მასში დენა და ეს კომიტეტები მისთვის გახდა ძალზე მიმზიდველი და საყვარელ ორგანიზაციებათ.

როდესაც ჯერ კიდევ სტიქიურ შენების პროცესში იყო რუსეთში გლეხთა კომიტეტები, ჩვენმა საყვარელმა ბელადმა, მუშებისა და გლეხების დიდმა მოამაგემ ამხ. ლენინმა გაგზავნა მასთან ახლო მდგომი ამხანაგები სოფლებში და დაავალა—გლეხებს სადათ, უბრალოთ მიდგომოდენ და თვით მათგან გაეგოთ უტყუარათ, თუ რომელი ორგანიზაციული წყობა მიაჩნიათ გლეხებს თავისთვის უფრო მისაღებათ. როდესაც გაგზავნილმა ამხანაგებმა ამხ. ლენინს მოუტანეს ცნობა, რომ გლეხებს ყველა არსებულ ორგანოებს შორის ყველაზე მეტათ მოწონთ და თავისათ მიაჩნიათ საგლეხო კომიტეტებიო, მან მაშინ რუსეთის რესპუბლიკის ყველა თემებში, სოფლებში და დაბებში გლეხთა კომიტეტის მოწყობის საჭიროება თავის საკუთარი ხელის მოწერილი დეკრეტით დააკანონა.

გლეხთა კომიტეტები ჩვენში

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში კი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების მოწყობას ჩვენ დაგვიანებით შეუდექით. ჩვენში ამ საქმეს სულ 9-10 თვის ისტორია აქვს. გლეხთა კომიტეტის დაარსების იდეა ჩვენში 1923 წლის მაისში წამოიჭრა და რეალურათ, პრაქტიკულათ მის განხორციელებას ჩვენ შეუდექით იმავე წლის ივნისში.

მუშაობის დაწყება ჩვენ მძიმე პირობებში მოგვიხდა. გლეხთა კომიტეტების საარჩევნო კამპანიის დაწყება და ჩატარება სოციალურ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს დაეკისრა, მაგრამ მას ამ კამპანიის დასაწყებათ და ჩასატარებლათ სათანადო სალარო და საშუალება არ ჰქონდა.

ყოველგვარ საშუალებებს მოკლებულნი, ჩვენ შეუდექით მძიმე მოვალეობის ასრულებას. სანამ გლეხთა კომიტეტების საფუძვლათ მოწყობას და არჩევნებს შეუდგებოდით, ჩვენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით შევადგინეთ სპეციალური კომისია და გავგზავნეთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მაზრებში, რათა საინსტრუქტორო რჩევა-დარიგება მიეცა ადგილობრივ მუშაკებისათვის, თუ როგორ მოეწყოთ სოფლებში საგლეხო კომიტეტები; ამავე კომისიას დავალებული ჰქონდა ყოველმხრივ გამოეკვლია ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი სოფლების და ადგილებზე გაემართათ ფართო მასიური საგლეხო კრებები, რომ ამ კრებებზე კარგათ გაეგოთ გლეხობის აზრი საგლეხო კომიტეტების მოწყობაზე და მათაც გაეშუქებინათ და აეხსნათ მათთვის მიზანი და დანიშნულება ამ კომიტეტებისა (ასეთი გამოკვლევა ჩვენ მოვახდინეთ აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებშიაც).

გლეხთა კომიტეტების მოწყობის საქმეს ჩვენში გლეხობა პირველად გულცივად შეხვდა.

ამ გულცივობას პირველ ხანებში ის ამართლებდა შემდეგი მოსაზრებით: დახმარებას და შემწეობას ძველათაც ბევრი დაგვპირებიან, მარა რეალურათ ეს დახმარება და შემწეობა ჩვენ არასოდეს არავისაგან არ გვინახავს, წაღებით ჩვენგან ყველას ბევრი წაუღია და მოტანით კი ჩვენთვის არავის არაფერი არ მოუტანიაო.

საგლეხო კომიტეტების საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლათ პირადათ მე ვიყავი საქართველოს ბევრ მაზრებში, სოფლებში და თემებში.

საგლეხო კომიტეტების დანიშნულების შესახებ ჩემ მიერ გაკეთებულ მოხსენებებზე ბევრ ადგილას გლეხები მეუბნებოდენ: თქვენი ნალაპარაკევი ყველაფერი კარგია, კარგია საურთიერთო დახმარების საქმის მოგვარება, კარგია ამ კეთილი მიზნისათვის გაერთიანება, კარგია ურთიერთი საქმეზე მოსახმარათ წვლილის გაღება, მარა გვეშინია, რომ ყველაფერი ისე ლამაზათ გაკეთდეს, როგორც ამას თქვენ გვეუბნებით, ძველათ ნიკოლოზის დროსაც სოფლებში და თემებში მოგვიწყვეს ბეღლები, შეაგროვეს ჩვენგან ხორბალი, სიმინდი და გვითხრეს—აი, თქვენგან შეკრებილი სიმინდი და ხორბალი შეინახება ამ ბეღლებში და ის თქვენვე მოგხმარდებათ დამშევის, სიღარიბის და გაჭირვების დროსო. ამას მხოლოდ გვეუბნებოდენ და სინამდვილეში—კი ჩვენგან მხოლოდ მიქონდათ და დახმარებით-კი არავინ გვეხმარებოდა. სოფლებში ძველათ ჩვენმა „მოკეთეებმა“ თავისებური კოოპერატივებიც მოგვიწყვეს, ამ კოოპერატივებით აშენებას დაგვპირდენ; ჩვენგან მათ (ესე იგი ძველმა „კოოპერატორებმა“) ბევრი წაიღეს და მათგან ჩვენ არაფერი ხეირი და სარგებლობა არ გვინახავსო.

ბევრჯელ მოტყუებული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი უნდობლობით გამსჭვალული გლეხობა პირველ ხანებში გულცივათ შეხვდა ჩვენ განზრახვასაც დაგვეარსებინა სოფლებში საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები, მარა ჩვენი მუშაობის პროცესში სათანადო ახსნა-განმარტებით, მოხსენებებით, მოწოდებებით, პროპაგანდა-აგიტაციით ჩვენ დავაჯერეთ და დავარწმუნეთ გლეხობა, რომ საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები მოეწყობა ნებაყოფლობის ნიადაგზე გლეხური მასსის აქტიური მონაწილეობით და მთელი სახსრები და საშუალებები, დაგროვილი საგლეხო კომიტეტების ფონდებში, დარჩება სოფლებში, თემებში, ჩაბარდება ის გლეხების მიერ არჩეულ საიმედო მოწინავე პირებს და განაწილდება საჭიროების მიხედვით საჯარო საგლეხო ყრილობაზე გამოტანილი დადგენილებით.

ბევრი შრომა, დიდი ენერგიის დახარჯვა დაგვჭირდა ჩვენ დაგვერწმუნებინა გლეხობა, რომ ჩვენ მათთვის სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ. ადგილებზე პარტიულ ორგანოების, აღმასკომების და მოწინავე გლეხების აქტიური დახმარებით, გლეხობა ჩაება საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების მშენებლობის საქმეში.

ფაქტიურათ საქართველოში საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების საარჩევნო კამპანია ჩვენ დავიწყეთ 1923 წლის ივლისში გლეხური ფართო მასსებთან დაახლოვების მიზნით, ჩვენ ჩვენს მუშაობას თავიდანვე საფუძვლათ დაუდევით წვრილი ერთეულების, სასოფლო საურთიერთო დამხმარე კომიტეტების შექმნა. ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცხოველი მონაწილეობით და დახმარებით მთელს ჩვენ რესპუბლიკაში, სვანეთის და ლეჩხუმის მაზრების გამოკლებით,—საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტები ყველგან მოწყობილია და ისინი, მიუხედავათ თავის სიახლისა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თვალსაჩინო როლს თამაშობენ.

კომიტეტების რიცხვი

საქართველოში ამ ჟამად მოწყობილია სულ 999 საგლეხო კომიტეტი, აქედან სასოფლო საურთიერთო დახმარების კომიტეტებია 629, სარაიონო საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტი—356 და სამაზრო საგლეხო კომიტეტი 12. მაზრების მიხედვით საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების რაოდენობა შემდეგ ციფრებში გამოიხატება: 1) ოზურგეთის მაზ. სულ მოწყობილია 42 საგლეხო კომიტეტი, 2) შორაპნის მაზრაში 181, 3) ქუთაისის მაზრაში 43, 4) სიღნაღის მაზრაში 93, 5) თბილისის მაზრაში 117, 6) გორის მაზრაში 65, 7) თელავის მაზრაში 61, 8) დუშეთის მაზრაში 53, 9) ახალქალაქის მაზრაში 86, 10) ბორჩალოს მაზრაში 37, 11) ზუგდიდის მაზრაში 50, 12) სენაკის მაზრაში 40, 13) რაჭის მაზრაში 100 და 14) ახალციხის მაზრაში-კი 31, ჯერ-ჯერობით სრულიად არ არის მოწყობილი საგლეხო კომიტეტები ლეჩხუმის და სვანეთის მაზრებში, და არჩევნები არ მომხდარა სამაზრო საურთიერთო დამხმარე კომიტეტების ახალქალაქის და რაჭის მაზრებში.

კომიტეტების ფონდები და რესურსები

საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებს, რომლებსაც თავის არსებობის სულ მოკლე ისტორია აქვთ (9-10 თვის) ამჟამად დაგროვილი აქვთ საურთიერთო დახმარების საქმეზე მოსახმარად ფონდებში შემდეგი სალსრები და საშუალებები:

1) **ოზურგეთის მაზრაში.** საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებს აქვთ ფონდში დაგროვილი ფულად: ჩერვონცებით 7,128 მანეთი, 21 ნახ ოსმალური ლირა; 11,578 ფუთი სიმინდი, 287 ფუთი ღვინო, 52 ფუთი მატყლი; 3 ფუთი და 8 გირვანქა ჩაი; 86 არშინი ჩითი, 256 საჟენი შეშა; 60 საჟენი ხე-ტყის მასალა; 200 ფუთი ნახშირი, 400 ცალი აგური; 1,100 შენობის სახურავი აგური; 1 სალარო (კასსა), ჰყავთ 2 ცხენი, 1 ძროხა; 12 სული სახორცე დასაკლავი საქონელი, საგლეხო კომიტეტების ფონდშია გადარიცხული 312 დესეტინა კარგი სახნავ სათესი მიწა, 4 დესიატინა შეშას დასამუშავებელი ტყე და 86 დესიატინა საშენი მასალების მომცემი ტყეები; საგლეხო კომიტეტებს გურიაში აქვთ 2 ნახ. ქცევა ჩაის პლანტაცია და ბაღი 8 დესეტინა, უძრავი ქონებიდან აქვთ 1 სახლი და 5 სასიმინდე, საგლეხო კომიტეტებს ოზურგეთის მაზრაში მოწყობილი აქვთ 1 სასადილო; 2 ფურნე, 1 სახელოსნო სამჭედლო, 2 საქონლის სასაკლაო და 2 წისქვილი; დამუშავებული და დათესილი აქვთ 150 ფუთი კარტოფილი.

2) **შორაპნის მაზრაში** გლეხკომებს ამჟამად ფონდებში აქვთ ფულათ ჩერვონცებით 10.490 მან. და 17 კაპეიკი, 17 სტერლინგი, დაგროვილი აქვთ სიმინდი 3409 ფუთი, ღვინო—496 ფუთი, ლობიო—3066 ფუთი, პური 26 ნახ. ფუთი, მარილი 150 ფუთი, 16 ვედრო არაყი, 18 ფუთი ნავთი, 8 ფუთი თევზი და 220 არშინი ფართალი.

გლეხკომებს აქვთ შორაპნის მაზრაში 3 წისქვილი, 2 სასწორი და 1 კარგათ მოწყობილი სასაკლაო.

3) **სიღნაღის მაზრაში ფონდში** გლეხკომებს ფულათ აქვთ 8,430 მანეთი (ჩერვონცებით), დაგროვილი აქვთ ხორბალი 702 ფუთი; 3664 ფუთი ღვინო და 39 ნახ. ვედრო არაყი.

4) **ქუთაისის მაზრაში** გლეხკომებს ამჟამად ფულათ აქვთ 600 მანეთი ჩერვონცებით, დაგროვილი აქვთ ფონდში—12,758 ფუთი სიმინდი; აქვთ—2919 ფუთი ღვინო, ქუთაისის მაზრის გლეხკომებს აგრეთვე აქვთ 2 აბანო და 7 წისქვილი.

5) **თბილისის მაზრაში** ფულათ აქვთ გლეხკომებს 8740 მანეთი (ჩერვონცებით), დაგროვილი აქვთ ფონდში 8868 ფუთი ხორბალი; 1893 ფუთი სიმინდი, 450 ფუთი შვრია („პშენო“), 320 ფუთი კარტოფილი, 1,000 ფუთი თივა, შეშა სამი ფუთი, 95 არშინი ჩითი; ყავთ—7 ხარი, 32 ცხვარი, 1 ღორი, აქვთ სახნავ სათესი მიწა 253 დესიატინა, აქვთ 7 წისქვილი; დათესილი აქვთ პურით 24 დესიატინა მიწა და ბაღებით 500 დესიატინა;

6) **თელავის მაზრაში** გლეხკომებს აქვთ ფონდში 6100 ფუთი ხორბალი 200 ფუთი სიმინდი; 15 ფუთი მატყლი, 40 ფუთი ყველი; აქვთ 2 სახლი და ერთი ეკლესიის შენობა საკულტურო დანიშნულებისათვის გადაცემული.

7) **გორის მაზრაში.** გლეხკომებს ფონდში აქვთ დაგროვილი 5400 ფუთი ხორბალი, გადაცემული აქვთ დასამუშავებლათ 45 დესიატინა მიწა და 120 დესიატინა ბაღები ხეხილით გაშენებული; ყავთ 80 სული ცხვარი და აქვთ 12 სახლი; მოწყობილი აქვთ ერთი საწყობი, აქვთ კარგათ მოწყობილი 1 სამჭედლო და 1-ი ფურნე;

8) **ზუგდიდის მაზრაში.** ფონდში აქვთ გლეხკომებს—320 მანეთი (ჩერ.) 4 ნახ. ოსმალური ლირა; ამ.-კავკასიის ბონები 15 ნახ. მილიარდი მანეთის; აქვთ დაგროვილი 1191 ფუთი თხილი, ყავთ 5 ცხენი, 1 ხარი, 5 ძროხა, 8 კამეჩი, აქვთ ერთი სასწორი.

9) **სენაკის მაზრაში** აქვთ ფონდში—1770 ფუთი სიმინდი.

10) **დუშეთის მაზრაში** საგლეხო კომიტეტების ფონდში ჯერ-ჯერობით დაგროვილია მარტო—1200 ფუთი ხორბალი.

11) **ახალქალაქის მაზრაში** ფულად თვიური შემოსავალი აქვთ—410 მანეთი (ჩერვონცებით), ფონდში აქვთ დაგროვილი ხორბალი—2... ფუთი, შვრია („პშენო“) 356 ფუთი და 45 ფუთი კარტოფილი.

12) **ახალციხის მაზრის** გლეხკომებს კი ფონდში აქვთ ფულად 15... მანეთი (ჩერვონცებით), აქვთ ხორბალი დაგროვილი 10 350 ფუთი და დასამუშავებლად საკუთრად გადაცემული აქვს 4 დესიატინა ბაღი.

ფონდებში ჯერ-ჯერობით სრულიად არაფერი არა აქვთ დაგროვილი ბორჩალოს და რაჭის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებს. ამ მაზრებში საგლეხო კომიტეტების ფონდების უქონლობა უმთავრესათ აიხსნება მათი უკიდურესი გაჭირვებით და ამ მაზრების მოსახლეობის უმწეო ნივთიერი მდგომარეობით.

რაში გამოიხატება გლეხკომების საქმიანობა.

საქართველოში მართალია საგლეხო კომიტეტებს ჯერ თავის მოღვაწეობის ერთი წლის გამოცდილებაც არ აქვთ, მარა მათ თავის მშენებლობის და მოწყობის პროცესში, სულ რაღაც 9—10 თვის განმავლობაში, შესძლეს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში თვალსაჩინო საქმიანობის გამოჩენა. ყველა იმ კულტურულ ეკონომიურ საქმიანობის გარეშე, როგორიც არის სოფლებში კარგი გზების გაყვანა, ხიდების გაკეთება, სარწყავი არხების გაჭრა, სასკოლო შენობების, სახალხო სახლების გაკეთება და შეკეთება,—ყოველივე ამას გარდა საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებმა თავის არსებობის სულ მოკლე დროში (8—9 თვეში) საურთიერთო დახმარების საქმეში გამოიჩინეს დიდი უნარი შესაძლებლობის ფარგლებში. საილუსტრაციოთ აქ მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს, თუ რა დახმარება აღმოუ-

კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის დემობილიზაცია

7 აპრილს დაიწყო კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის წითელ-არმიელთა უვადო შვებულებაში გაშვება. გამგზავრების წინ ყველა ნაწილებში იმართება გაშვებულთა საზეიმო გაცილება მუშათა ორგანიზაციებთან ერთად.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა პოლიტიკურ სამმართველოსთან ერთად გამოუშვა 4 ენაზე „სამახსოვრო წიგნაკი“. უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებს ურიგდება „სამახსოვრო წიგნაკები“ ამხ. ლენინის ბიოგრაფიით.

ამ-კავკ. ფ. ს. ს. რ. მთავრობის დადგენილების თანახმათ, უვადო შვებულებაში გაშვებულ წითელ-არმიელებს მიეცათ მარაგი გზისათვის მტკიცე ვალიუტაში, 60 კაპ. რაოდენობით დღეში.

თბილისის, ნავთლუღის, ბალაჯარის და ბაქოს სადგურებზე მუშაობენ აგიტპუნქტები, სადაც მოწყობილია კინო, ბიბლიოთეკა და ორკესტრი.

თბილისის, ნავთლუღის, განჯის, ბალაჯარის, ბაქოს, ბათომის, ქუთაისის და ლენინაკანის სადგურებზე მოწყობილია სატრანსპორტო კოოპერაციის და სამომხმარებლო კოოპერაციის დუქნები.

დათხოვნილ წითელარმიელების მატარებლებში მოთავსება და გაგზავნა შეუწყვეტლივ სწარმოებს.

სადგურებზე ყველგან სამაგალითო წესრიგია. გაშვებულთა განწყობილება საუცხოვოა.

კომინტერნის მეხუთე კონგრესის დღის წესრიგი,

რომელიც მიღებულ იქნა კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე 30 მარტს.

1. **ლენინი და კომინტერნი.**

ლენინიზმის საფუძვლების და პროპაგანდის შესახებ. (მომხსენებლებს [illegible]

[illegible]

8. **საპროფკავშირო მუშაობა.**

9. **ფაშიზმი.** მომხსენებლები: ერთი იტალიელი და ერთი გერმანელი ამხანაგი.

10. **საკითხი ინტელიგენციის შესახებ.** მომხსენებლები: ამხ. ცეტკინი, ერთი ამხანაგი საფრანგეთის კომპარტიიდან და ერთი წარმომადგენელი ახალშენებიდან.

11. **გლეხთა ინტერნაციონალი.**

12. **ახალგაზრდობის მოძრაობა.**

13. **რევოლუციონერთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია.**

14. **ცალკე სექციების საკითხები.**

ა) რუსეთი.

ბ) გერმანია.

გ) იტალია.

დ) ბულგარეთი.

ე) ინგლისი.

ვ) ამერიკის შეერთებული შტატები.

ი) იაპონია.

მომხსენებლებს და თანამომხსენებლებს ნიშნავენ სათანადო სექციები.

15) **კოოპერატიული საკითხი.**

16. **კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის და თავმჯდომარის არჩევნები.**

15 აპრილის [illegible]

რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობა

[illegible]

... მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს სახიფათო ნაბიჯს: ახალი წევრების მთელი მესამედი მერყევ ელემენტებთან ერთად შესძლებს გამარჯვების მოპოვებას მიმდინარე არჩევნებში და ლენინის პარტიის ლენინისებური ხაზის „გაბრუნდებას“.

ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის, სულ დაახლოვებით სამი წლის წინ, პარტია მოქმედებდა სულ ამის საწინააღმდეგო წესით: წევრების ნაწილს,—სახელდობრ მათ, ვინც პარტიაში გვიან შევიდა,—მან შეუზღუდა საარჩევნო უფლებები ყრილობაზე.

ამ ორ გადაწყვეტილებათა განსხვავებით, რომლებიც მიღებულია შედარებით ასე მოკლე ხნის განმავლობაში, განისაზღვრება ის დიდი გზა, რომელიც განვლო პარტიამ ამ ხნის განმავლობაში თავის ბრძოლაში და აღმშენებლობაში.

მაშინ—მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, რომლის გაყოლას პროლეტარიატის მასები ვერ ასწრებდენ, რომელსაც ისინი სცილდებოდენ, რომლის გადაწყვეტილება ხშირად ... გამობრძმედილ ლენინელებათ თავიანთი შეგნებით, თავიანთი მუშაობით.

ცეკას პლენუმის გადაწყვეტილება ითვალისწინებს მ სების ამ განწყობილებებს, მისწრაფებებს და იმედებს თავისი გადაწყვეტილებით ის, ითვალისწინებს რა პარტიაში ახლად მოწვეულების თვითშეგნებას, ალვიძებს რა მათში იმ დიდი პასუხისმგებლობის შეგნებას, რომელიც დაკავშირებულია კანდიდატის სახელ წოდებასთან, შლის რა მათ წინაშე პარტიის ძირითად საკითხების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას, სდგამს დიდ ნაბიჯს მათ შეგნებულ ლენინელებათ გარდაქმნისაკენ.

ეს გადაწყვეტილება არ ეთანხმება პარტიულ წესდებას, რომელიც საარჩევნო უფლებებს ანიჭებს მხოლოდ პარტიის წევრებს.

მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ყრილობა გაამართლებს ამ გადამჭრელ ნაბიჯს, რომელიც მიმართულია ჭეშმარიტ მუშათა დემოკრატიისაკენ.

მოსკოვს „პრავდა“.

ქ. ლანჩხუთი

[illegible]

... შემადგენლობის ნაწილი ამავე დროს იყო მონტელიგენტო, დღეს ფოთის ორგანიზაცია აერთიანებს 17 უჯრედს, 2 რაიონით (ქალაქიდი და რედუტკალე), რომლიდანაც 7 უჯრედი სოფლისაა, 4 სატრანსპორტო, 3 მოწაფეთა და 3 გაერთიანებული უჯრედი. ესენი თავის რიგებში აერთიანებენ 256 წევრს და 9 კანდიდატს, რომელთა სოციალური შემადგენლობა შემდეგია—96 ნამდვილი მუშა, 88 გლეხი, 32 მოსამსახურე, 40 მოწაფე და სხვა.

ყველა უჯრედებს ჰყავთ არჩეული უჯრედის ბიუროები, სამ-სამი წევრისაგან, რომლებიც ხელმძღვანელობენ მთელ უჯრედების მუშაობას, აგრეთვე უჯრედებს ჰყავთ წარმომადგენლები, როგორც პროფკავშირების გამგეობებში, ისე აღგილკომებში და საკონფლიქტო შემფასებელ კომისიებში. ისინი სათანადოთ იცავენ მუშა-ახალგაზრდების ინტერესებს და თვეში ერთხელ სისტემატიურად აცნობენ უჯრედის წევრებს მათ მიერ წარმოებულ მუშაობას. უჯრედებს ჰყავთ არჩეული 3 | მგებელი კორესპონდენტები, რომლებიც აშუქებენ გაზ. „| პარტაკში“ თავიანთ უჯრედის ... არსებული იქნა პირველი სტუპნის სამი პოლიტ-სკოლა: ნავთსადგურის გადამტვირთველთა მუშათა კავშირში, რ | გზაზე და თვით ქალაქის ცენტრში. აგრეთვე კაი ხანია არსებობენ ლიტერატურული და დრამატიული წრეები, რომლებიც დროგამოშვებით მართავენ ლიტერატურულ გასამართლებებს და დგამენ რევოლუციონურ პიესებს. არსებულ წრეების მეცადინეობაში ჩაბმული არიან 55 პროც. მთელი წევრთა რაოდენობისა. წრეების მეცადინეობას ძლიერ ხელს უშლიდა თუ უშლის კლუბის უქონლობა, რის მისაგვარებლათაც სამაზრკომმა მიმართა სხვადასხვა საშუალებებს და შეუდგა სამხედრო „სობოროს“ კლუბათ გადაკეთების მუშაობას.

მუშაობა ამ მხრივ უკვე ერთი თვეა სწარმოებს და ახლო მომავალში (15—20 დღეში) დამთავრებული იქნება, რის შემდეგაც ორგანიზაციაში არსებული პოლიტკულტურულ განმანათლებელ წრეებს ფართო ასპარეზი გაეშლებათ მუშაობის გასაძლიერებლათ.

გრ. ჯიბლაძე.

[illegible]

ეკონომიური ცხოვრება

[illegible]

 იტალიური ლირა — 680 „

ფრანკი ფრანგ. — 800 „

ბიულეტენი

ა. ქ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი სავანგებო კომისიისა.

(11 აპრილი)

ოქროს მანეთი 8.500 მილ.

მუშკოოპის ფასები.

(11 აპრილი)

პური 2 ხარ.—6 კაპ., ძროხის ხორცი—43—45 კაპ., შაქარი რაფინადი—36 კაპ., შაქარი ფხვნილი—29 კაპ., ბრინჯი ალდ.—11 კაპ., კარტოფილი—3 კაპ. მაკარონი 15 კ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(11 აპრილი)

პური 1 ხარ.—10—12 კაპ., პური 2 ხარ.—8 კაპ, ძროხის ხორცი—50 კაპ., შაქარი რაფინადი—38 შაქარი ფხვნილი—30 კაპ., ბრინჯი ალდაშის—18 კაპ., კარტოფილი—5 კაპ.

ბირჟის მიწოდება

შაბიამანი ინგლ., ქლორის კალციუმი, კანიფოლი ბორჯომის, ფქვილის ტომრები (20 ათასი ცალი), „კუზმიჩევ“-ის ჩაი (ინგლის), მილები (ფრანკო ტაგანროგი) „ცარპაიტორგ“-ის პროდუქცია, გოგირდი „ბუდა“, „სუპლიმე“ და იტალიური, მზესუმზირას ზეთი, რუს. (ცისტერნებით), მანანას ფეტვი, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ნაწლევები, ტყავის ლევედები, სპილენძი, თეთრი თუნუქი, ხორბალი და პურეული, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, ფანჯრის მინა (ბემის), „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, სახ. მეურნ. საბჭ. საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი დასხვ.), „კრაიტორგ“-ის პროდუქცია, (ცემენტი, ტ ეტერნიტი) ყავა „მოკკო“, გაზეთის ქაღალდი, პაპიროსის ქაღალდი, ფეხსაცმელები (ინგლ.)

ბირჟის მოთხოვნილება

ქლორის კალციუმი, კანიფოლი ბორჯ., ნარმა. მიტკალი, ტომრები, თუშური მატყლი, ნედლი ტყავეულობა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, მზესუმზირას ზეთი, სალომასი, ქვა მარილი ნახიჩ., პორტლანდიის ცემენტი, თხილი, ტომრები, ავსტრალიის ქონი.

ოფიციალური გარიგებანი

აგური (пустотельный)—5 კ. ცალი, ფრანკო ვაგონი სადგ. ქსანი.

სამუშაო ფეხსაცმელები (ინგლ.) 22 მან. წყვილი, ფრანკო გამყიდველის საწყობი თბილისში.

საპონი ყოფ. „ტოლე“—15 მ 20 კაპ ფუთი; საპონი „პეტუხ“—25 მ. 50 კ. ფუთი და მარმარილოსი 7 მ. 50 კ. ფუთი, ფრანკო ქარხანა.

ქვა-ნახშირი ტყიბულის 17 კაპ. ფუთი, ფრანკო გემი ფოთში.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საქონლის ბაზრებზე მოქმედება საერთოდ შესუსტებულია.

საქარ. ტყავ-ტრესტის საწარმოო პროგრამა 1924 წლისათვის

ვინაიდან ტყავ-ტრესტის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა წარმოების კონცენტრაციის, სწორი კალკულიაციის შედგენის, პროდუქ-

[illegible]

18 000 მსხვილ საქონლის ტყავისა, რაც შეადგენს ქარხნის ნორმალურ ნაწარმოების 40 პროც. და 10,000 წვრილი ტყავის (22,2 პროც.)

მესამე ქარხანაში განზრახულია გამოიმუშავება წლის განმავლობაში 9 000 მსხვილი ტყავის. ამ პროგრამის შესასრულებლად ქარხნებს დასჭირდება წლიწადში შემდეგი ნედლეული: ძროხის ტყავი—7000 ცალი (ან 10 500 ფუთი), „პოლუალ“-ი 13.000 ცალი (ან 16 250 ფ.), იუფთი—7000 ცალი (ან 7000 ფ.) ცხვრის ტყავი—6000 ცალი და თხისა—4000 ც. აღნიშნული პროგრამის შესრულება ქარხნებისათვის შესაძლებელია, ვინაიდან როგორც ადგილობრივი, ისე გარეშე პირობები მას ხელს უწყობენ.

რაც შეეხება ფეხსაცმლების ფაბრიკას, მან მიმდინარე საოპერაციო წელიწადში უნდა დაამზადოს სხვადასხვაგვარი ფეხსაცმელები (ბატინკები, ჩუსტები, სანდალიები, ნაბდის წაღები და სხვ.) სულ 87.000 წყვილი. წარსული საოპერაციო წლის განმავლობაში დასამზადებლად დაკვეთილი იყო სულ 27.000 წყვილი.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(11 აპრილი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1	ჩ.— 85.000.000	56	ჩ.—4.760.000.000
2	ჩ.—170.000.000	57	ჩ.—4 845.000.000
3	ჩ.—255.000.000	58	ჩ.—4 930.000.000
4	ჩ.—340.000.000	59	ჩ.—5.015.000.000
5	ჩ.—425.000.000	60	ჩ.—5.100.000.000
6	ჩ.—510.000.000	61	ჩ.—5.185.000.000
7	ჩ.—595.000.000	62	ჩ.—5.270.000.000
8	ჩ.—680.000.000	63	ჩ.—5.355.000.000
9	ჩ.—765.000.000	64	ჩ.—5.440 000.000
10	ჩ.—850.000.000	65	ჩ.—5.525.000.000
11	ჩ.—935 000.000	66	ჩ.—5.610.000.000
12	ჩ.—1.020.000.000	67	ჩ.—5.695.000.000
13	ჩ.—1.105.000.000	68	ჩ.—5.780 000.000
14	ჩ.—1.190.000.000	69	ჩ.—5.865.000.000
15	ჩ.—1.275.000.000	70	ჩ.—5.950.000.000
16	ჩ.—1.360.000.000	71	ჩ.—6 035.000.000
17	ჩ.—1.445.000.000	72	ჩ.—6.120.000.000
18	ჩ.—1.530 000.000	73	ჩ.—6.205.000.000
19	ჩ.—1.615.000.000	74	ჩ.—6.290.000.000
20	ჩ.—1.700.000.000	75	ჩ.—6.375 000.000
21	ჩ.—1.785.000.000	76	ჩ.—6 460 000.000
22	ჩ.—1.870 000.000	77	ჩ.—6.545 000.000
23	ჩ.—1.955 000.000	78	ჩ.—6.630 000.000
24	ჩ.—2.040 000.000	79	ჩ.—6.715 000.000
25	ჩ.—2.125.000.000	80	ჩ.—6 800 000.000
26	ჩ.—2.210 000.000	81	ჩ.—6 885.000 000
27	ჩ.—2.295.000.000	82	ჩ.—6 970.000.000
28	ჩ.—2.380 000.000	83	ჩ.—7 055.000.000
29	ჩ.—2 465 000.000	84	ჩ.—7.140 000.000
30	ჩ.—2 550 000.000	85	ჩ.—7.225 000.000
31	ჩ.—2,635.000.000	86	ჩ.—7 310.000.000
32	ჩ.—2.720 000.000	87	ჩ.—7.395 000.000
33	ჩ.—2.805.000.000	88	ჩ.—7.480.000.000
34	ჩ.—2.890.000.000	89	ჩ.—7.565.000.000
35	ჩ.—2,975 000.000	90	ჩ.—7.650.000.000
36	ჩ.—3.060 000.000	91	ჩ.—7 735.000.000
37	ჩ.—3.145 000.000	92	ჩ.—7 820 000.000
38	ჩ.—3.230 000.000	93	ჩ.—7 905 000 000
39	ჩ.—3.315.000.000	94	ჩ.—7 990 000.000
40	ჩ.—3 400.000.000	95	ჩ.—8.075.000.000
41	ჩ.—3.485 000.000	96	ჩ.—8 160.000.000
42	ჩ.—3.570.000.000	97	ჩ.—8.245.000.000
43	ჩ.—3.655.000.000	98	ჩ.—8 330.000.000
44	ჩ.—3.740.000.000	99	ჩ.—8.415.000.000
45	ჩ.—3.825.000.000	1 მ.	8.500 000.000
46	ჩ.—3.910.000.000	2 მ.	17 000.000.000
47	ჩ.—3.995.000.000	3 მ.	—25.500.000.000
48	ჩ.—4.080.000.000	4 მ.	— 34 000.000.000
49	ჩ.—4.165.000.000	5 მ.	—42 500.000.000
50	ჩ.—4 250 000.000	6 მ.	—51 000.000.000
51	ჩ.—4.335.000.000	7 მ.	—59.500.000.000
52	ჩ.—4.420.000.000	8 მ.	—68 000.000.000
53	ჩ.—4.505.000.000	9 მ.	—76.500.000.000
54	ჩ.—4.590.000.000	1 ჩერ.	85.000.000.000
55	ჩ.—4.675.000.000		

ცირკულიარულად

ს. ქ. პ. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

თანახმად რუსეთის კომუნისტური პარტიის ა | კ. საოლქო კომიტეტის ცენტრალური მომართვისა, ციკას | სამგიტ. საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შეასრულოთ შემდეგი: არა უგვიანეს [illegible]

... ჩინეს მაზრებში თავის მცირე საშუალებებიდან საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებმა ომის ინვალიდების წითელარმიელების ოჯახებს, უპატრონოთ დარჩენილ ობლებს, ქვრივებს, სტიქიური ანუ სხვა უბედური შემთხვევების გამო უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილ გლეხობას.

ოზურგეთის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტმა თავის საშუალებებიდან დახმარება აღმოუჩინა 309 პირს, ამათგან 92 კაცმა ერთდროული დახმარების სახით დახმარებათ მიიღეს—422 მანეთი (ჩერვონცებით). 97 კაცმა მუდმივი პენსიის სახით ოზურგეთის მაზრაში გლეხკომებიდან მიიღეს ჩერვონეცის ანგარიშით 423 მანეთი; აქედანვე 37 უპატრონოთ დარჩენილ ობოლ ბავშვებს დახმარებათ მიეცა 171 მანეთი, საბავშვო სახლის შესანახათ გაიღო 416 მანეთი, და დახარჯა ინვალიდების წამლობაზე და ექიმობაზე—192 მანეთი;

შორაპნის მაზრაში. საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტმა ღარიბებს, ობლებს, ქვრივებს, ომის და შრომის ინვალიდებს და წითელ არმიელების ოჯახებს ერთდროული დახმარების და პენსიების სახით მისცა ... ულათ 849 მანეთი (ჩერვონცებით), ... აურიგა გაჭირვებულებს და ღარიბებს 80 ფუთი სიმინდი, 5 ფუთი ხორბალი, ინვალიდების და ღარიბების წამლობაზე და ექიმობაზე შორაპნის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტმა დახარჯა 459 მანეთი და 75 კაპეიკი;

ქუთაისის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებს აღრიცხვაზე ყავთ აყვანილი და მუდმივ განსაზღვრული რაოდენობით პენსიას აძლევს 61 კაცს ომის ინვალიდს, და 127 კაცს შრომის ინვალიდს;

ახალციხის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებმა თავის საშუალებებიდან დახმარებათ მისცეს 45 ობოლს, 18 ქვრივს და 15 წითელ-არმიელის ოჯახს 325 ფუთი პურის ხორბალი; ახალქალაქში გლეხკომებმა თავის საშუალებებიდან საექიმო დახმარება აღმოუჩინეს 293 კაცს და დახმარებათ მისცეს ინვალიდებს 245 ფუთი პურის ხორბალი.

გლეხთა კომიტეტებმა ქუთაისში, თელავში და ახალციხეში მოაწყვეს გლეხთა სასახლეები, ამ სასახლეებში გლეხთა კომიტეტების სამაზრო ცენტროებია მოწყობილი, აქვე მოწყობილია საჭირო საწოლები სოფლებიდან და თემებიდან ჩამოსული გლეხების მისაღებათ და მოსასვენებლათ. საგლეხო სასახლეებთან გლეხებისათვის მოეწყო სამკითხველოები და იურიდიული ბიუროები მოთხოვნილების დროს გლეხებისათვის საჭირო იურიდიული რჩევა დარიგების მისაცემათ და თხოვნების დასაწერათ.

აქვე არ შემიძლია ხაზ გასმით არ აღვნიშნო შემდეგი. **სიღნაღის მაზრაში** საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებმა თავის თავზე აიღეს ინიციატივა და გააკეთეს ერთი დიდი ხიდი: **თიანეთის მაზრაში** გლეხკომების ინიციატივით და შრომით გაჭრილ იქნა სარწყავი არხი, ზომით 1 ნახევარი ვერსი.

საქართველოს გლეხთა კომიტეტებს ამჟამად დადგენილებები აქვთ მიღებული **დაკვრით წესით ჩაატარონ საქართველოში თესვის კამპანია.** შინაარსი ამ თესვის კამპანიის ჩატარების შეიცავს შემდეგს: საქართველოს არც ერთ სოფელში, არც ერთ თემში—ობოლის, **ქვრივის, ინვალიდის, გაჭირვებულის, ღარიბის, წითელ-არმიელის,** (რომელსაც ლაშქარში გაწვევისას მუშა ხელი არ დარჩათ ოჯახში) მიწა დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს. ამ მიწების დამუშავებაში საგლეხო კომიტეტებმა კოლექტიურათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და გარდა მიწის დამუშავებისა მათ უკიდურეს გაჭირვებულებს და ღარიბებს უნდა მიაწოდონ მოხნული მიწების დასათესათ **საჭირო სათესლე მასალები.**

საგლეხო კომიტეტები თავიანთი დადგენილებებს, — როგორც ცნობები მოგვდის საქართველოს სოფლებიდან და თემებიდან,— ღარიბებისათვის სასოფლო-სამეურ- ...

... ნიო მუშაობით დახმარების აღმოჩენის შესახებ სისწორით ატარებენ ცხოვრებაში და შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ქვრივებს, გაჭირვებულებს და ობლებს ისინი ენერგიულად ეხმარებიან მათზე მითვისებული ნაჭერი მიწების დამუშავებაში.

საქართველოში საგლეხო კომიტე- [illegible]

... დაცემაში და ქალაქის ნაწარმოებზე ფასების გადაჭარბებაში.

ამან გამოიწვია გლეხობაში ლტოლვა. ეშოვნათ სადმე იაფი წუმწუმა, ფართალი, მარილი, საპონი და სხვა სოფლისათვის საჭირო საგნები, ამისათვის გლეხობამ მიმართა თავის კომიტეტებს. ისინიც შესაძლებლობის ფარგლებში აწოდებენ გლეხებს შეღავათიან ფასებში ამ საქონელს.

სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდენ გლეხკომები, ამ ჟამადაც აწარმოებენ, მარა მაკრატლის პრობლემის საბოლოველათ გადაჭრის და მოწესრიგების შემდეგ აუცილებლათ საგლეხო კომიტეტები სავაჭრო-საღებმიმცემო ფუნქციებს ჩამოიშორებენ და მთელი თავისი გავლენით და ავტორიტეტით ისინი სოფლებში ხელს შეუწყობენ მუშების და გლეხების მთლიან კოოპერატივების გამრავლებას და საქმიანობას.

ერთ მთავარ მიზნათ საგლეხო კომიტეტები ჩვენში ისახავენ სასოფლო მეურნეობის აღორძინება-აყვავებისათვის ხელის შეწყობას. ამ მიზნით საგლეხო კომიტეტებმა ზოგან დადგენილებები მიიღეს მოაწყონ საცდელი მინდვრები, შეიძინონ სალი თესლეულობა, გააუმჯობესონ ფრინველების ჯიში და მოაწყონ სოფლებში საქონლის საჯიშოები.

ჩვენში საგლეხო კომიტეტების ძირითად ამოცანას შეადგენს მოაწყონ სოფლებში, თემებში, რაიონებში ღარიბებისათვის, ინვალიდებისათვის, ობლებისათვის სახლები, თავშესაფარები; ყარაიაზის და ველისციხის რაიონებში საგლეხო კომიტეტებმა დადგენილებები გამოიტანეს მოაწყონ ობლების თავშესაფარი, ამ თავშესაფრების მოსაწყობათ ზემო-აღნიშნულ რაიონებში მათ საჭირო სახლები კიდეც გამონახეს და ზოგიერთი ავეჯეულობაც შეიძინეს.

სრ. საქართვ. გლეხკომების ცენტრი.

საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წყობა ასეთია: — საქართველოს სოფლებში ძირითადი (პირველი უჯრედები) საგლეხო კომიტეტები მოეწყო საბჭოთა საარჩევნო კონსტიტუციის ფარგლებში მოქალაქესადმი მინიჭებული საარჩევნო წესების მიხედვით; არჩევნები, სათემო კომიტეტების არჩევნებშიც ჩვენში ჩატარდა თემის მთელი მოსახლეობის მონაწილეობით (დადგენილებაა მიღებული, რათა ახლო მომავალში გლეხკომების მშენებლობაში სრულიად ამოშლილი იქნეს სათემო კომიტეტები). რაიონული საგლეხო კომიტეტების არჩევნები კი მოხდა სასოფლო და სათემო კრებებზე—არჩეული დელეგატების რწმუნებულების ყრილობებზე; სამაზრო საგლეხო კომიტეტების არჩევნები ჩატარდა რაიონულ საგლეხო კომიტეტების საარჩევნო კრებებზე არჩეული რწმუნებულთა ყრილობებზე. ახლო მომავალში საქართველოს დედა-ქალაქში, თბილისში, მოხდება სამაზრო საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების ყრილობა, სადაც არჩეული იქნება სრულიად საქართველოს საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტი, რომელშიაც გაერთიანებული იქნება მთელი საქართველოს გლეხ-კაცობა, კულაკების და ჩარჩების გამოკლებით.

საქართველოში საურთიერო დამხმარე გლეხთა კომიტეტების **ერთი ცენტრის შექმნით** საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების მუშაობას მომავალში მეტი გარკვეული სახე მიეცემა და ორგანიზაციულათ ერთ ცენტრში ჩამოსხმული და ჩამოყალიბებული, ის სახელმწიფო და საზოგადო ხასიათის ორგანოების თანაგრძნობით და დახმარებით დიდ მიხწევამდე მივა ჩვენში თვითდახმარების საქმის მოწესრიგებაში.

გლეხთა კომიტეტებს მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი საქართველოს **ყველა მაზრებში** მოაწყონ გლეხთა სასახლეები. დამატებით მთლიანათ აღებული საქართველოს ყველა სამაზრო კომიტეტებს დადგენილება აქვთ მიღებული თბილისში **მუშათა სასახლის გვერდით მოაწყონ სრულიად საქართველოს გლეხთა სასახლე,** რომელიც მომავალში გადაიქცევა საუკეთესო ბუდეთ **ქართველი გლეხის და მუშის დაახლოვებისათ.**

მუშების და გლეხების ინტერესების სადარაჯოზე მდგომმა საქართველოს მთავრობამ მტკიცე დადგენილება მიიღო დაეხმაროს გლეხობას თბილისში გლეხთა სასახლის მოწყობაში. მთავრობამ ამ სახლის მოსაწყობათ აირჩია **სპეციალური კომისია** ჩვენი თვალსაჩინო ამხანაგებისაგან შემდგარი. მჯერა, რომ საგლეხო კომიტეტების და გლეხური მასის აქტიური მონაწილეობით და ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობის დახმარებით თბილისში მალე იქნება მოწყობილი **გლეხთა სასახლე.**

— გავათავე. რამდენადაც შემეძლო მე გავაშუქე ისტორია საქართველოში საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმოშობის და მიღწევების.

ახლო მომავალში შევეცდები მკითხველებს გავაცნო საქართველოში—ერთის მხრით, თვითდახმარების მიზნით მარტოხელი, პროლეტარი და ნახევრათ პროლეტარი ხელოსნების **თვითმშრომელთა** საზოგადოებებში და მეორეს მხრით—**შრომის გამოყენების მიზნით** ომის და შრომის ინვალიდების კოოპერატივებში დარაზმის საქმე.

ხომერიკი.

კოოპერაცია

კოოპერატიული ქრონიკა

ნავთის განაწილების საქმე.

ამდენ ხანს ერთგვარი მონოპოლია იყო ნავთის და ნავთის პროდუქტების გასაღებაზე საქართველოში. ეს საქმე მთლიანათ ექვემდებარებოდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სათბობ განყოფილებას, რომელმაც გასული წლის პირველ ნახევარში სპეციალური შეთანხმებით ნავთის და ნავთის პროდუქტების განაწილება-გასაღების საქმე საქართველოს ზოგიერთ რაიონებში გადასცა ცეკავშირს ამრიგათ თვითონ, სათბობი განყოფილება იძენდა ამ საქონელს აზნავთისაგან, შემდეგ ცეკავშირი იძენდა მას სათბობ განყოფილებისაგან და თავისი პერიფერიულ ორგანიზაციების საშუალებით აწოდებდა მომხმარებლებს. ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ აღძრულია საკითხი ნავთის ფასის დასაწევათ გვერდი აევლოს მესაშუალო ინსტანციას, სათბობი გაყოფილების სახით, და მიეცეს ცეკავშირს უფლება შეიძინოს საქონელი აზნავთისაგან უშუალოთ.

ახალი კოოპერატიული ორგანიზაციები.

საქართვ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერაციის [illegible]

აბრეშუმის პარკის კამპანია

ამჟამად ცეკავშირში სწარმოებს აბრეშუმის თესლის დარიგება განაწილებასთან დაკავშირებული ფართო მუშაობა. თესლის ნაწილი მიღებულია საზღვარ გარეთიდან (88 000 კოლოფი), აქედან ოსმალური აბრეშუმის თესლი—30 500 კოლოფი, ბაღდადის ევროპიულ ჯიშის 35 000 კოლოფი, დანარჩენი ყვითელი. ამას გარდა განაწილებულ იქნება 15.000 კოლოფი ადგილობრივი თესლი. ეს თესლი განაწილებული იქნება შემდეგნაირად: ქუთაისს—6.000 კოლოფი, ზესტაფონს—1.500, ხონს—7.000, საყულიას—1000, ბაღდადს—1.500, სამტრედიას (ეპოს)—2 000, სამტრედიის პუნქტს—4.200, ტობანიერს—4 000, ვანს—2 500, საპაიჭოს—1.500, აბაშას—4.000, ჯიხაიშს—1.500, ბანძას—3 000, წალენჯიხას—1.500 კ., ჩხოროწყუს—1.500, კირცხს—1 000, ახუთს—1.200, ხეთას—1.2 0, ოზურგეთს—5.000, ნატანებს—1 500, სუფსას—2.000, ჯუმათს—1.000, ლანჩხუთს—5 000, ნიგოითს—1.500, საჯავახოს—6 000, ჩოხატაურს—6.000, სენაკს—3 000, ხობს—1.500, ზუგდიდს—3.500, დარჩელას—1.200, ლიას—1 200, ნაგომარს—1.000, თელავს—3 500, სიღნაღს—1 000, ლა- [illegible]

[illegible]

რის ქვემო და ზემო ნიკოზის და ქვემო და ზემო ხვითების რაიონის მებილეთა ამხ ბა „ქვემო ნიკოზი", 10. ბორჩალოს მაზრის აშაგა-სერალის რაიონის მებამბეთა ამხანაგობა „თანა-გიუნი", 11. ახალქალაქის მაზრის კარწახის და ოკამის რაიონის მერძევეთა არტელი „გიდ დაგი", 12. იმავე მაზრის მეფუტკრეთა ამხ. „მერლე", 13. ბაზკირეთის რაიონის სოფ. ლენინოს მერძევეთა არტელი „ლენინი".

[illegible] ფუთში—208 679 ფუთი. ამ დღეებში განყოფილება ფოთიდან გადაუზავნის მარილს კოოპერატივებს დასავლეთ საქართველოში.

საკრედიტო განყოფილება.

სამტრედიის მთლიან კოოპერატივთან არსებულმა საკრედიტო განყოფილებამ მუშაობა დაიწყო ფაქტიურათ ამა წლის 21 მარტს. განყოფილებაში გლეხობამ შემოიტანა 1 აპრილამდე 1.359 მან. 32 კაპ., ხოლო ამავე ხნის განმავლობაში განყოფილებამ გასცა სესხი 1.359 მან. 32 კაპ.

[illegible] -ბაზარზე თავის გავლენის გაძლიერებისაკენ, განსაკუთრებით ახლა, როცა ფულის რეფორმა ტარდება.

მეოთხე სხდომა

კამათი

იმართება კამათი ამხ. ზალტინის მოხსენების გარშემო.

ოპონენტები ეხებიან უმთავრესად სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებების და კოოპერატიულ ორგანიზაციების ურთიერთობის საკითხს. ყველა ორატორები ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ამ ორ დაწესებულებას შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა და მოისპოს სავსებით დღემდე არსებული კონკურენცია, რომელსაც გამანადგურებელი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის განვითარებისათვის.

აგრეთვე ზოგი ორატორი საჭიროდ სთვლის „ცენტროსოიუზის" გაუქმებას, რადგან იგი არ შეეფერება ა. კ. ეკონომიური ცხოვრების პირობებს, და მის ნაცვლად მოითხოვენ ა. კავკასიის მასშტაბით ერთი მთლიანი კოოპერატიული ცენტრის დაწესებას, რომელიც გააერთიანებს და უხელმძღვანელებს კოოპერატიულ მშენებლობას ჩვენში. ამ მოსაზრებით ზოგიერთი ორატორი მოითხოვს ნაციონალურ კოოპერატიული ცენტრების გაუქმებასაც.

ამხ. პიტერსკის აზრით, კოოპერაციას ჯერჯერობით არ შესწევს ძალა და უნარი დააკმაყოფილოს მაზრის მოთხოვნილება, თუ სახელმწიფო სა-

[illegible] პერატივები მოქმედებენ ბათომში (მთლიანი მუშათა კოოპერატივი), ქედაში, ხულოში, აჭარის წყალზე და ქობულეთში. ყველა ეს კოოპერატივი აერთიანებს ხუთასამდე წევრს.

კოოპერატივების მუშაობა, საჭირო საქონლის ნაკლებობის გამო, სუსტია: საქონელი კოოპერატივებში უფრო ძვირი ფასობს, ვიდრე კერძო ან სახელმწიფო სავაჭროებში. გარდა ამისა ის საქონელიც, რაც კოოპერატივებს, მოეპოვება ფუფუნების საგნებია, ხოლო აუცილებელ საჭიროების საქონელს (ნავთს, მარილს, შაქარს, ასანთს) გლეხი კოოპერატივებში ვერ პოულობს.

აღნიშნავენ რა აჭარისტანის კოოპერაციის ასეთ დაუძლურებას, მომხსენებელნი მოითხოვენ კავშირისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

კოოპერატიული ვაჭრობის მოწყობა სოფლად

(მომხსენებელი ამხ. ერქომაიშვილი)

მომხსენებელი თავის მოხსენებაში აყენებს შემდეგ დებულებებს: საბჭოთა მეურნეობამ ერთ-ერთ საბრძოლველ ამოცანად უნდა წამოაყენოს კერძო სავაჭრო კაპიტალთან ბრძოლა სოფლად. საქალაქო მრეწველობის ნაწარმოებთა გაყიდვის წესი და საშვალება, რომელსაც მიმართავს კერძო კაპიტალი სოფლის მომხმარებელთან ვაჭრობის დროს, უნ-

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული თათბირი

მეხუთე სხდომა

ა/კ. კოოპერაციის მოკლე ამოცანები

ამხ. ზალტინის მოხსენების გაგრძელება.

ინტეგრალის საკითხი.

ემყარება რა მომხსენებელი დებულებას, რომ საქონლის გასაღება და მოსახმარი საგნების ყიდვა, გლეხური ოჯახის მთლიანი სამეურნეო პროცესის მხოლოდ ცალკე მომენტებს წარმოადგენენ, ხოლო კრედიტი კი არის ამ პროცესის დამხმარე ფაქტორი, მიზანშეწონილად აღიარებს კოოპერაციის ისეთ ფორმას, რომელიც ემსახურება გლეხურ მეურნეობის ყოველ მხარეს, ე. ი. ინტეგრალურ ფორმას.

თავის მოსაზრებას მომხსენებელი ამაგრებს ა.-კ. კოოპერაციის პრაქტიკული გამოცდილებით.

ყოველი სახის კოოპერატივები ა.-კ. სინამდვილეში თავის მოქმედებას არ საზღვრავდენ ვიწრო-სპეციალურ მუშაობით; ისინი ასრულებდენ სხვადასხვა ხასიათის ფუნქციებსაც. მაგ. სოფლის მომხმარებელი საზოგადოებანი თითქმის ყველგან,—ასაღებენ გლეხის ნაწარმოებს და ამავე დროს აწვდიდენ მას წვრიმალ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (ცელებს, ნამგლებს და სხვას).

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის კომისიის მოგზაურობა საქართველოში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქუთაისში

ძლიერ ცუდი ამინდის გამო ამიერ-კავკასიის ცაკ-ის კომისია სოხუმის ნაცვლად 4 აპრილს გაემგზავრა ქუთაისში, სადაც დაათვალიერა და გაეცნო საბჭოთა დაწესებულებების მუშაობას და ადგილობრივ საჭირბოროტო კითხვებს.

პირველად კომისია ესტუმრა წითელარმიის ნაწილებს.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის საგარნიზონო კლუბში წითელარმიელებს მოკლე სიტყვით მიმართა ამხ. ალამალი-ოღლიმ და განუმარტა უვადო შვებულებაში მიმავალ რუს წითელარმიელთ მათი მოვალეობა შინ დაბრუნების შემდეგ და ის განსხვავება, რომელიც არსებობს ძველ მეფის ჯარების და ახალ წითელ ყაზარმებს შორის.

ამის შემდეგ ილაპარაკეს თვით წითელარმიელებმა იმ კითხვებზე, რომელიც აინტერესებდა მათ სტუმარს, ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარეს. სიტყვების დასრულების შემდეგ მუსიკით და საერთო „ურას" გრიალით წითელარმიელებმა ავტომობილამდე მიაცილეს ალამალი-ოღლი.

ასეთივე სიხარული გამოიწვია კომისიის მისვლამ ქართულ ლეგიონში, სადაც წითელარმიელნი პოლიტიკურათ მშვენივრად მომზადებულნი აღმოჩნდნენ.

ამჟამად უვადო შვებულებაში მიმავალ ქუთაისის გარნიზონის წითელარმიელების სასარგებლოთ ამხ. ალამალი ოღლიმ გაიღო 1200 მანეთი.

ყაზარმებს გარდა დათვალიერებულ იქნა არხი „მაშველი", ქალთა ტეხნიკუმი, ვაჟთა ტეხნიკუმი და შრომის სკოლა, სადაც კომისია დაესწრო რამოდენიმე გაკვეთილს სხვადასხვა საგნებში.

სკოლების და ეტნოგრაფიული მუზეუმის მოვლის შემდეგ კომისიამ ინახულა ამხ. შ. ლეჟავას სახელობის საბავშვო სახლი არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები და სხვა.

საღამოს კომისია დაესწრო ქუთაისის განათლების მუშაკთა სახლში საზეიმო სხდომას.

მეორე დღეს, 6 აპრილს შესდგა საზეიმო სხდომა გარნიზონის კლუბში წითელარმიელთა უვადო შვებულებაში გაშვების გამო.

სხდომა დიდი ზეიმით შეხვდა ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარეს მიმართვას. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

აქედან კომისია გაემგზავრა მაუდის ქარხანაში, რომლის გახსნა განზრახულია პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულის დღეს—1 მაისს. ქარხანამ საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა თავისი მოწყობილობით და აუარებელი მშვენიერი მანქანებით, რომელთა თავის დროზე ამუშავებისთვის ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული. მცირე ფინანსიური დაბრკოლება დაძლეულ უნდა იქნას.

კომისია აპირებდა ხონში გამგზავრებას, მაგრამ უამინდობის გამო უკან დაბრუნდა გუბისწყლიდან, სადაც მხოლოდ ბორანი მუშაობს. ბეტონის ხიდი დეკემბერში წაიღო მოვარდნილ წყალს. ხიდი აერთებდა დასავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრებს, როგორიცაა ხიანი, ქუთაისი და მათ შორის მდებარე სოფლები, შუამდგომლობა ახალი ხიდის აღდგენის შესახებ წარდგენილი ყოფილა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

საღამოს ცენტრიდან ჩამოსულ სტუმრებისთვის და შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებისთვის ზარდალიშვილის რეჟისორობით ადგილობრივ თეატრში გაიმართა წარმოდგენა.

საქსოვი ქარხანა.

ახლო მომავალში უნდა მოხდეს ქუთაისის საქსოვი ქარხნის გახსნა, რომელიც 300 მუშით სრული დატვირთვის დროს დღეში 1000 არშინზე მეტ ქსოვილს მაუდს დაამზადებს.

ქარხნის მოწყობილობა და მანქანები ნაწილობრივ ჩამოტანილია საბჭოთა რუსეთიდან, ნაწილი კი დამზადებულია ადგილობრივ და თბილისში. ამჟამად მუშაობს ქარხნის მოწყობაზე 80 მუშამდე და თუ საშუალებები დროზე მიიღო ქარხნის ადმინისტრაციამ, ქარხანა სულ მალე, მაისის დასაწყისში დაიწყებს მოქმედებას, რაც საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება იქნება ეკონომიურ ფრონტზე. პირველ ხანებში განზრახულია ქარხნის ამუშავება მხოლოდ ერთი მესამედით, რისთვისაც საჭირო იქნება 150 მუშა როგორც მამაკაცები, ისე ქალები. ამ პირობებში ქარხანა განუწყვეტლივ მუშაობის დროს მოგვცემს დღეში 320 არშინ მაუდს, შემდეგ კი შესაძლებელი იქნება თანდათანობით ქარხნის სრული დატვირთვა და ამის მიხედვით მუშათა რიცხვის გაზრდა, რასაკვირველია თუ ქარხანას არ მოაკლდება შესაფერი ხელმძღვანელობა და მზრუნველობა.

ქარხანა მოთავსებულია სამხედრო უწყების ყოფილ საწყობებში და ყოფილ ყაზარმებში, რომლებიც სათანადოთ იქნენ გადაკეთებული, შელესილი და გაწმენდილი, ქარხანა შესდგება 7 შენობისაგან, რომლებსაც ეხოთი ორ დესეტინამდე სივრცე უკავია. მანქანების დიდი უმრავლესობა უკვე დალაგებულია და გამზადებული სამუშაოდ. შენობებს შორის დაწყობილია რელსები, რომლებითაც შესაძლო იქნება ნაწარმოების გადაზიდვა ერთი განყოფილებიდან მეორეში დამუშავების სხვადასხვა დროს. რასაკვირველია საკუთარი ქარხნისათვის ახალი შენობის აგება უკეთესი იქნებოდა, რომ მატყლის სხვადასხვა ხასიათის გადამუშავება ერთდაიმავე შენობაში მოხდარიყო, მაგრამ ამას დიდი ხარჯები დასჭირდებოდა, რომელთა გაღება დღევანდელ პირობებში ჩვენს სახელმწიფოსათვის სამძიმო იქნებოდა.

მაგრამ ქარხანა ასეთ პირობებშიც მშვენივრად შესძლებს მუშაობას და ყველა, ვინც ამ აუარებელ უზარმაზარ მანქანებს დაათვალიერებს, იგრძნობს, რომ დანაშაულობაა ამ მანქანების უმოქმედება, მათი ამოძრავების დაგვიანება. უკვე დიდი, მეტად მნიშვნელოვანი და უმთავრესი სამუშაო შესრულებულია და ეხლა სულ ცოტა დახმარება ხელის შეწყობაა საჭირო, რომ მანქანები ახმაურდენ, აგრიალდენ, რომ ქარხნის მილებიდან მძლავრად იდინოს შავმა კვამლმა. ქუთაისელ ამხანაგების: მ. გაბოკიას და ა. ურუშაძის სიტყვით, რომელსაც აგრეთვე ადასტურებენ ქარხანაში მომუშავე სპეციალისტი ინჟინრები, ქარხანას ერთი წლით დასჭირდება საბრუნავი თანხა 200,000 მანეთი, მოწყობის დამთავრებას დასჭირდება კიდევ 60,000 მანეთი. ასეთი დიდი საქმისთვის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება როგორც ქუთაისის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის მომავალი ეკონომიური განვითარებისთვის, ეს შედარებით მცირე თანხა არ უნდა დავიშუროთ. ამ თავითვე ქარხნის ნაწილობრივი ამოქმედებისათვის კი სულ ცოტაოდენი თანხაა საჭირო, რომელიც უკვე გადადებულია ამიერკავკასიის ფინანსთა კომისარიატის მიერ. ეს ფული დაუყოვნებლივ და საჩქაროდ უნდა გადაეგზავნოს ქარხანას.

ასეთ დასკვნამდე მივიდა ამიერკავკასიის ცაკის კომისია ამხ. ალამალი-ოღლის თავმჯდომარეობით, რომელმაც ინახულა ქარხანა 6 აპრ და დაწვრილებით გაეცნო მის მდგომარეობას და მომავალ პერსპექტივებს.

ამხ. ალა მალი ოღლიმ განაცხადა, რომ დანაშაულს უდრის ასეთი მცირე თანხისთვის ქარხნის მუშაობის დაყოვნება. ის 15,000 მანეთი, რომელიც ძველი ხარჯთაღრიცხვით ერგება ქარხანას, დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს მას, დაჩქარდეს სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ მანქანების ზოგიერთი ნაწილების დამზადება და გადმოგზავნა, აგრეთვე მომავალი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

ამხ ალამალი-ოღლიმ უკვე მიმართა წინადადებით თბილისის ქარხნის ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების შესახებ.

თუ ყოველივე ეს თავის დროზე იქნა დაკმაყოფილებული, ქუთაისის საქსოვი ქარხნის გახსნა შესაძლო გახდება პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულისთვის მიმდინარე წლის 1 მაისისთვის. და ეს იქნება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო საჩუქარი როგორც საქართველოს, ისე მთელი ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხებისთვის.

ასეთი დიდი საქმის სასურველად დაგვირგვინებისთვის, საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებითი ენერგიის ასეთი საუკეთესო და მშვენიერი ძეგლისთვის არაფერს უნდა ვერიდოთ და პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულობის ზეიმს კიდევ დავუმატოთ ზეიმი სამეურნეო ფრონტზე გამარჯვებისა. დავამტკიცებთ, რომ ჩვენ შევსძლებთ ახალი ქვეყნის შექმნას.

ი. ბუაჩიძე.

ქუთაისი—6 აპრილი.

გრძელდება ხელისმოწერა „კომუნისტზე" აპრილისთვის

მუშა-მოსამსახურეებს, წითელ-არმიელებს და მოსწავლე ახალგაზრდობას

გაზეთი დამატებით („ჩირაღდანი") ეგზავნებათ უფრო დაკლებულ ფასებში ვიდრე მარტში

ერთი თვით	ტფილისში	80 კაპ.
	პროვინციაში	90 კაპ.
ორი თვით	ტფილისში	1 მან. 55 კაპ.
	პროვინციაში	1 მან. 75 კაპ.
სამი თვით	ტფილისში	2 მან. 30 კაპ.
	პროვინციაში	2 მან. 60 კაპ.
ექვსი თვით	ტფილისში	4 მან 55 კაპ
	პროვინციაში	5 მან. 15 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვისაც გაზეთის („ჩირაღდანი"-თ) ფასი შემცირებულია თვიურათ ერთი აბაზით.

ტფილისში (მიტანით) ეღირება თვიურათ 1 მ. 30 კ.

პროვინციაში

1 თვით	1 მან. 30 კაპ.	
2 „	2 „ 60 „	
3 „	3 „ 90 „	
4 თვით	5 მან. 20 კაპ.	
5 „	6 „ 50 „	
6 „	7 „ 50 „	

პროვინციის ხელისმომწერლებმა უნდა შემოიტანონ, გარდა ფასისა, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად, ო ა შაური თვიურად.

„კომუნისტი"-ს ხელისმომწერლები ახლო ხანში მიიღებენ უფასოთ პროლეტარიატის ბელადების საერთო სურათს (მარქსი, ენგელსი, ლენინი, ტროცკი, ბუხარინი, სტალინი-ჯუღაშვილი, კალინინი, ცხაკაია, მახარაძე და სხვ. სულ ხუთმეტამდე).

ამ დღეებში ჩვენ დაურიგებთ ხელისმომწერლებს მარტის პრემიას, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის სურათს კარგ ქაღალდზე.

და უარყოფილ იქნეს, რადგან ამ წესით შეუძლებელია სოფლის და ქალაქს შორის მტკიცე ეკონომიური კავშირის დამყარება.

ამიტომ საჭიროა სახელმწიფო ორგანოებმა სოფელთან ვაჭრობის დროს სავსებით გამოიყენონ კოოპერაცია.

ადგილობრივ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა იკისრონ თავიანთ წევრებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდების საქმე და ადგილობრივი პროდუქტების დამუშავება და რეალიზაცია.

არსებული კოოპერატიული ორგანოების განმტკიცება ადგილზე და აგრეთვე ახალი ორგანიზაციების შექმნა საჭიროებს კოოპერატიულ კავშირებიდან ნისიათ საქონლის მიწოდებას.

მაგრამ საბჭოთა კოოპერაციას არ მოეპოვება საკმაო საქონელი, მიუხედავათ ამისა, კოოპერაციას გასაწესრიგებლად უნდა გადაეცეს დაუყოვნებლივი მასიური მოხმარების საგნები (მანუფაქტურა, ფქვილი, შაქარი, ნავთი, მარილი და სხვა).

სოფლის კოოპერატივებისთვის უნდა შერჩეულ იქნეს საკმაო რაოდენობით ისეთი საქონელი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ როგორც მოხმარების, ისე საწარმოო მიზნებისათვის. ამ საქონლიდან უნდა ამორჩეულ იქნეს ისეთი ასორტიმენტები, რომელიც უფრო შეეფერება სოფლის საჭიროებას.

სოფლის კოოპერატივების აპარატი უნდა მოეწყოს ისე, რომ არავითარი დაბრკოლება არ ხვდებოდეს მის მიერ გაშვებულ საქონლის რეალიზაციას, ისე თანხების დაბრუნებას ცენტ. კავშირებისათვის, რომელთა გარეშე კოოპერატივებმა არ უნდა აწარმოონ თავიანთი ოპერაციები.

გარდა ამისა ზედმეტებული ხარჯების მაქსიმალური შესამცირებლად საჭიროა აპარატის გამარტივება, შტატების შემოკლება და ზედმეტი სამსახურების გაუქმება.

სახელმწიფო ვაჭრობის განმანაწილებელი ორგანოების არსებობა სოფლად სრულიად მიუღებელია, რადგან სოფლის მომხმარებლისთვის მატერიალურად ხელსაყრელი არ არის. ამიტომ საჭიროა ასეთი ორგანოების დაუყოვნებლივ გაუქმება და მათ ნაცვლად კოოპერატიულ ამხანაგობათა მოწყობა გლეხების უშუალო მონაწილეობით

სასოფლო კოოპერაციის ასაღორძინებლად გარდა ზემოხსენებულ ღონისძიებათა, საჭიროა პირველ დაწყებით კოოპერატივებთან შეიქმნეს აპარატი, რომლის საშვალებით გლეხს საშვალება მიეცემა ბაზარზე გამოვიდეს, ხოლო ისეთი რაიონებში საქონლის გასანაწილებლად, სადაც კოოპერატიული ორგანოები არ მოიპოვება, უნდა მოეწყოს მოძრავი ვაჭრობა.

სასოფლო მეურნეობა

დუშეთის მაზრაში.

ხასოფლო მეურნეობის მავნებლ. მიწათ მოქმედების სახ. კომ ატს აცნობებენ დუშეთის მაზრიდან, რომ მუხრანის, მცხეთის, საგურამოს და ბაზალეთის რაიონებში მრავლათ გავრცელდა ყანის თაგვები. დაზიანებულია 16613 დესიატინა. დუშეთის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების სახ. კ-ის წინაშე მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო თანხის გაღების შესახებ. სწარმოებს წინასწარი მუშაობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზრდობა.

მებაღე-მებოსტნეთა ამხანაგობები სოფლად. 16 მარტს მუხრანში დაარსდა მებაღე-მებოსტნეთა ამხანაგობა, რომელშიაც ამთავითვე მონაწილეობას იღებს 400-მდე გლეხი. ასეთივე ამხანაგობები არსდება უახლოეს მომავალში სოფელ ძალისში, ქსოვრისში და ჰოპორტში. სოფ. ფასანაურში არსდება, გარდა ამისა, მეცხვარეთა ამხანაგობა.

თბილისში

სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი აარსებს თბილისში სასოფლო-სამეურნეო მუზეუმს, რომელშიაც ძირითად მასალად შეტანილი იქნება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატები. მუზეუმის მიზანია — აგრონომიულ ცოდნათა გავრცელება. მუზეუმში გაიმართება ლექციების კითხვა და პრაქტიკული ლაბორატორიული მუშაობა. მუზეუმი გაიხსნება არა უგვიანეს ერთი თვისა.

მატყლით ვაჭრობის მოწესრიგება ამიერ-კავკასიაში.

მატყლის ბაზრის მოწესრიგების მიზნით ა. კ. ნედლეულის კომიტეტმა დაადგინა: მატყლის დამზადების უფლება მიენიჭოს: საქართველოში ცეკავშირს და წარმოკავშირს სომხეთში—„აიკოოპ"-ს და „არმენტორგ"-ს აზერბეიჯანში—„აზსოიუზ"-ს, სასოფლო-სამეურნეო ბანკს და სახ. მრეწველობის და ვაჭრობის კომისარიატს. ამიერ კავკასიის სავაჭრო სამმართველოს („ზაკგოსტორგ"-ს) უფლება ეძლევა აწარმოოს აზერბაიჯანში და სომხეთში უბრალო მატყლის დამზადება საზღვარგარეთ გასატანად.

კომიტეტის დადგენილებით, დაწესებულია შემდეგი დასამზადებელი (მინიმალური) ფასები, რომელიც უნდა მიეცეს მეცხვარეებს ადგილობრივ ბინებზე. თუშური მატყლი—15 მან. ფ. შუშის—17 მ 80 კ. „დონმა"—14 მ. 25 კ., ლეკურის—[illegible] მ., შიხლინის—9 მ. 50 კ. (განჯა, ყაზახ და ელდარ)—8 რაბილის—6 მ., 50 კ. ნის და ახალ-ბაიაზეთის ზეხ")—11 მ. 30 კ. ნახიჩევანის მაკუს—18 მ. ალბანის 13 მ. „მერინოს"-ის—25 მ ტფილისის შორ მატყლზე დაწესებულია 15 მ. 60 კ. ფ.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებით მატყლის ყიდვის კერძო პირებისაგან ან იმ ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც დამზადების უფლება არა აქვთ, მისცენ გა[illegible] ლებს: „მერინოს"-ის და სა[illegible] ხარისხის მატყლზე 15 პრო[illegible] ნაკლებ, ვიდრე დადგენილებ[illegible] წესებულია, ხოლო უბრალო [illegible] ზე (ბოზახ, შიხლი და ყარაბ[illegible]) პროცენტით.

ამ დადგენილების გატარე[illegible] ლება ცალკე რესპუბლიკების [illegible] ულის კომიტეტებს.

პროფკავშირებში

სხვა და სხვა კავშირებში

მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა თბილისში. პროფსაბჭოს სტატისტიკური ცნობებით, თბილისის დაწესებულებებსა და წარმოებებში მუშაობს—19,098 მუშა და 15 850 მოსამსახურე, რკინის გზაზე—8,364 მუშა. მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა თბილისში უდრის—45,312 კაცს.

ამ რიცხვიდან პროფკავშირების წევრებად ითვლება 41 029 კაცი; გარდა ამისა ცალკე ერთეული წევრთა პროფკავშირს 2,871 ჰყავს.

პროფკავშირის უმუშევარ წევრთა რაოდენობა თბილისში უდრის 7.601 კაცს, უმუშევრთა უმრავლესობას შეადგენენ საბჭოთა მოსამსახურეები—1,902, მიწისმშრომის მუშაკნი შეადგენენ—731, განათლების უმუშევარი მუშაკნი—551, ვემოკვების მუშაკნი—661, სახალხო გამოკვება—518, მკერავთა—518 და ასე შემდეგ.

პროფკავშირის წევრთა რაოდენობა თბილისში უდრის სულ 51 501 კ.

მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ფონდი. ქიმიკოსთა კავშირის სამდივნომ წინადადება მისცა სატარიფო განყოფილების მდივანს გამოარკვიოს წარმოებათა მოგებიანობა იმ მოსაზრებით, რომ შესაძლებელი გახდეს მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ფონდის შექმნა

საგაზაფხულო დასვენები[illegible] ვინაიდან მასწავლებელთა პროცენტი საჭიროებს საზა[illegible] დასვენებას, განათ. მუშაკთა [illegible] რის ცენტრ. გამგეობამ დ[illegible] შეინახოს ერთი პროცენტი [illegible] ხი, რომელიც აუცილებლათ [illegible] დება საზაფხულო დასვენებ[illegible] ლისათვის და გამოყენებული ადგილობრივ პირობებთან [illegible] დებით.

განათლების უმუშევარ თათვის. განათ. კავ. ცენტ. ბის დადგენილებით არსდება [illegible] ვართა ფონდი. დადგენილია, [illegible] ვე, უმუშევარი წევრები მიმ[illegible] იქნენ ადგილებზე, რომელიც [illegible] ნეს მათ სამუშაოზე პირველ [illegible]

ცენტ. გამგეობამ დაამტკ[illegible] რეთვე კულტგანათლების მი[illegible] მოდგენილი მუშაობის გეგმა.

წარმოებათა დათვალიერე[illegible] მოკვების მუშაკთა კავშირის [illegible] ნოს უკანასკნელ სხდომაზე [illegible] იქნა ანგარიში გორის საკ[illegible] ქარხნის და გომის არაყის ქარხნის დათვალიერების შესახ[illegible] დივნომ დაადგინა გაძლიერ[illegible] რის საკონსერვო ქარხნის მძღვანელობა, ხოლო სახე[illegible] ნის ტრესტს წინადადება მიე[illegible] უგზავნოს საჭირო ფული [illegible] ხარჯებისათვის

წითელი ჯარი

ქართულ დივიზიის ლეგიონში

კულტურული მუშაობა

ჩვენს მეორე ლეგიონში კულტურული მუშაობა უფრო და უფრო წინ მიიწევს.

საკლუბო მუშაობა თავის სიმაღლეზეა.

გამოდის ყოველკვირეული კედლის გაზეთი და თვიური ჟურნალი.

ხშირად იმართება საღამო-წარმოდგენები, რომელსაც ესწრებიან, როგორც ქარხნების, ისე რკინისგზის და ნავთსადგურის მუშებიც.

წრეების მუშაობა კარგია. სამკითხველო მდიდარია ლიტერატურით.

25 მარტს ჩვენს კლუბში მოეწყო კომუნისტური ნათლობა. მონათლულ იქნა ამხ. სიხარულიძის (ტყვიამფრქვევ გუნდის პოლიტ-ხელი) ერთი წლის ვაჟიშვილი და დაერქვა: „ქარლეგი" (შემოკლებით ქართული ლეგიონი). ნათლიებად იყვნენ ერთი წითელარმიელი, 2 ტყ. მფ. გუნდიდან და ერთი რკინისგზელი მუშა.

შემდეგ, ლეგიონის ცხენოსან მზვერავთა ჯგუფმა თავისი ძალებით გამართა საღამო წარმოდგენა (უვადო შვებულებაში წასვლის წინ, გამოსათხოვარი) იყო ლექსთა თქმა, მოთხრობების და სცენების კითხვა, ხორომ შეასრულა რამდენიმე სიმღერა და ბოლოს დრამ-წრემ წარმოადგინა „რაც გინახავს, ველარ ნახავ" (მეორე მოქმედება).

29 მარტს ჩვენი ლეგიონის წითელარმიელი ლიტ დრამ. ლიტწრეების ხელმძღვანელობ[illegible] სიკით და ზურნით ესტუმრა [illegible] გეთს, სადაც როგორც ადგი[illegible] ორგანოები, ისე ადმინისტრა[illegible] ხარულით შეხვდნენ.

იმავ დღეს, შაბათს, კლუბ[illegible] ნაჩვენები კინო-სურათები ([illegible] და სურათები თან წაიღო ეს [illegible] მა) ორკესტრმა—კი გამართ[illegible] ცერტი. ლიტ წრემ მონაწ[illegible] მიიღო ადგილობრივ ახ. კომ[illegible] რის მიერ კლუბის დარბაზში [illegible] თულ ლიტ. გასამართლებაში. [illegible] მართლებულ იქნა „სურამის [illegible] გმირი ვარდუა, რომელიც [illegible] ვედ იქნა ცნობილი.

მეორე დღეს, კვირას, ბაღ[illegible] მართულ იქნა სეირნობა და [illegible]

საღამოს კლუბში დრამის [illegible] მიერ გაიმართა წარმოდგენა. გმულ იქნა დრამწრის ხელმ[illegible] ლის, ამხ. კოტე ჰელიძის [illegible] პიესა: „ქართველები ჩინეთშ[illegible]" „ინტერნაციონალი", რომელ[illegible] დი შთაბეჭდილება დასტოვ[illegible] ლაზე.

მესამე დღეს, ორშაბათს, [illegible] ისათვის ნაჩვენებ იქნა კინ[illegible] თები.

როგორც სეირნობაზე, ისე [illegible] მო—წარმოდგენებს დიდძალი [illegible]

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

[illegible]

მამოძრავებელთა შეკეთება. ბაქოს ცენტრალურ სადგურზე დამთავრდა ნავთსადენის მამოძრავების და საქაჩავების პერიოდიული დათვალიერება და კაპიტალური შეკეთება.

ნავთსადენის აუზების შეკეთება. აუზების სახურავების შეღებვა და შეკეთება შესრულებულია თებერვალში 92,16 პროცენტით, ე. ი. იგი ფაქტიურად შეკეთებულია 1345,63 კვ. საჟ., ხოლო პროგრამით დასახული იყო 1460 კვ. საჟენი.

ვაგონების გადავარდნა ლიანდაგიდან. 8 აპრილს საღ. ყარიზე 6 საათზე გზის გაფართოების გამო სამი ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან. ვაგონები ამოიღეს ჯავშნიანი მატარებლის საშუალებით. მოძრაობა არ შეწყვეტილა.

გაუჯობესებულ მადუღებლის გასინჯვა. 8 აპრილს 21 ქვეითი ჯარების სკოლის შენობაში მოხდა გაუმჯობესებულ მადუღებლის „ტიტანის“ გასინჯვა. გასინჯვიდან გამოირკვა, რომ მადუღებელი ნაკლებ სათბობ მასალას ხარჯავს და იძლევა დიდ პროდუქტიობას.

ფულის რეფორმის შესახებ 8 აპრილს—ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ამხ. სემკოვმა გააკეთა მოხსენება ფულის რეფორმის შესახებ

[illegible]

სათვის. ეს სიები გაიგზავნება სპეციალურ ტერმინოლოგიურ კომისიებში, რომლებიც დაარსებულ იქნებიან თბილისში, ბაქოში, ერევანში ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ამ კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ გამოიცემა ადგილობრივ ენებზე ტექნიკური ტერმინოლოგიის კრებულები.

მუშაობის გადიდება რკინის გზაზე. ამ უკანასკნელ დროს რკინის გზაზე მუშაობა საგრძნობლად გადიდდა. მეზობელ გზებიდან მიღებულ ტვირთების და ვაგონების რაოდენობა ზოგჯერ აღწევდა დღე და ღამეში 1000 დე, რაც უდრის 1913 წ. მუშაობას 70 პროცენტს.

შავი ქვის დატვირთვა. შავი ქვის დატვირთვა „ჩემო“ ს განცხადების მიხედვით ამ უკანასკნელ დროს გადიდდა 120 დან 150 ვაგონამდე დღე და ღამეში.

ნიაღვარი რკინის გზაზე. დაახლოვებით დილის 4 საათზე საღლითი—ქიათურის მახლობლად ნიაღვარის გამო ჩამოინგრა მიწა, რის გამო აღნიშნული გზა დახურულია. მიღებულია ზომები მოძრაობის აღსადგენად.

ქაღალდის დამზადება. ა | კ. რკინის გზათა სამმართველომ დაადგინა დაამზადოს ტიპო-ლიტოგრაფიისათვის 8,500 ფუთი ქაღალდი.

სამხედრო სასამართლოში

გიგელიას საქმე

(9 აპრილის დილის სხდომა)

9 აპრილს დილის სხდომაზე იწყება მხარეების კამათი.

ბრალმდებელ დიდებულიძის სიტყვა.

სიტყვა ეძლევა ბრალმდებელ დიდებულიძეს, რომელიც იწყებს თავის სიტყვას ქართული ანდაზით: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას შემდეგ გამოჩნდებაო“. ასეთ ურემად ბრალმდებელი სთვლის ბრალდებულ სალაყაიას, რომელმაც გულწრფელად აღიარა რომ ბრალდებულმა გიგელიამ დაავალა მას მოეწყო ლირების დაკარგვის სიმულიაცია, ხოლო ამის შემდეგ გამოჩნდა სწორი გზა და ყველაფერი გამოაშკარავდა. ესლა ჩვენ წინაშე სდგას მოხირხებული აფერისტი. ეხება რა გიგელიას მონაწილეობას ქუთათელაძის მკვლელობაში, ბრალმდებელი ვერ სთვლის დამტკიცებულად სასამართლოს ძიებით, რომ გიგელიას ხელითაა მოკლული ქუთათელაძე, მაგრამ მას არ შეუძლია გადაჭრით უარყოს გიგელიას მონაწილეობა ამ საქმეში.

ბრალმდებელ მაისურაძის სიტყვა

ბრალმდებელი ამხ. მაისურაძე სთხოვს სასამართლოს მით უფრო სასტიკად მოეპყრას გიგელიას, რომ ის იყო კომუნისტი 1917 წლიდან. მას მოჰყავს ამხ. ლენინის ფრაზა: „უკეთესია ცოტა იყოს რიცხვით (პარტია), მაგრამ ღირსებით მაღალი“.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის ამხ. ტალახაძის სიტყვა.

ამხ. ტალახაძე თავის სიტყვის პირველ ნაწილში ახასიათებს გიგელიას, როგორც უარყოფით, ზნედაცემულ პიროვნებას. ის აღნიშნავს, რომ გიგელიას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ ყველაფრის გამოძიებას სასამართლო ვერ შეძლებს, მიუხედავად იმისა, რომ დაკითხული იყო 100 მოწმე. არ ვიცით რისთვის იყო პასუხისგებაში მიცემული გიგელია კიევში, რისთვის მიესაჯა სიკვდილით დასჯა ბაქოში და სხვა. გიგელია არა მარტო თვითონ სჩადის ბოროტმოქმედებებს, არამედ თავის ბნელ საქმეებში ითრევს სრულიად უდანაშაულო პირებს. ყოფილი შტაბს-კაპიტანი შეპარული კომუნისტური პარტიის რიგებში, გიგელია არის საშიში დამნაშავე, რომელიც ძირს უთხრის საბჭოთა ხელისუფლებას და სახელს უტეხავს პარტიას. ასეთი ელემენტი სასამართლომ სასტიკად უნდა დასაჯოს.

რაც შეეხება ქუთათელაძის მოკვლას, საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამას დამტკიცებულად არ სთვლის, თუმცა მის მონაწილეობას ამ საქმეში არ უარყოფს.

ბრალმდებელთა სიტყვებით დასრულდა დილის სხდომა.

კანდელაკის მოკვლის საქმე

8 აპრილის საღამოს სხდომა.

სხდომა იხსნება 8 საათზე.

იწყება მოკლულ კანდელაკის ნათესავების და მოწმეთა დაკითხვა. მოკლულის ნათესავები და სხვა მოწმენი აღნიშნავენ, რომ მათ დ. კანდელაკის მკვლელობის შესახებ გაიგეს ტფილისში ახალქალაქიდან ჩამოსულ იოსებ თარხნიშვილისაგან, რის შემდეგ გაემგზავრენ ერთაწმინდაში. იქ მათ ყველა ეუბნებოდა, რომ მოკვლის უშუალო მიზეზი ბიძინაშვილი და მისი ამხანაგები—გვარდიელები იყვნენ. სადღესასწაულო გრაკლში ეტლის დაქირავების დროს დ. კანდელაკს უთანხმოება მოუვიდა ბიძინაშვილთან, რომელსაც სურდა დაეკავებინა კანდელაკის მიერ დაქირავებული ეტლი. ბიძინაშვილი მოწმეების ჩვენებით გაიძახოდა: „მე ახალქალაქის ღმერთი ვარო, მე გაჩვენებთ ვინც ვარო“ და სხვა.

ერთაწმინდაში კანდელაკს მოტყუებით ჩამოართვეს რევოლვერი, რის შემდეგ დასცხეს და წაქცეულს ჯერ ხანჯალი ჩასცეს და მერე ქუსლებით ჩასჩქოლეს.

ერთ-ერთ მოწმის, ექიმ ჯაფარიძის ჩვენებით, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილს, ხანჯალი ღრმად იყო ჩაცემული და დატრიალებული ჭრილობაში (рваная рана) ხანჯლის გარდა დაჭრილს ნაცემ-ნაქოლავის ნიშნებიც ჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს დამალული ბიძინაშვილი აღმოჩენილ იქნა ბორჯომის ახლო, სადაც სხვისი გვარით ცხოვრობდა. ზოგიერთ მოწმის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ბიძინაშვილს ახალქალაქში პირადათ განუცხადებია თავისი ნაცნობის აკაკი არჯევანიძისთვის, რომ კანდელაკი მან, ბიძინაშვილმა, მოჰკლა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 აპრილის დილისთვის.

9 აპრილის დილის სხდომა

გრძელდება მოწმეთა დაკითხვა.

მოწმე ჯაფარიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ახალქალაქის მაზრაში მოუთხრობს სასამართლოს ამ მაზრის ხელისუფლებისა და ადგილობრივ გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. მოწმის ჩვენებით, მას საჩივარი მოუვიდა გლეხებისაგან ადგილობრივ გვარდიისა და ადმინისტრაციაზე, და განსაკუთრებით, ბიძინაშვილზე, რის შესახებ მან მოხსენება გაუკეთა შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს და მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას.

მოწმე იოსებ თარხნიშვილი მოუთხრობს სასამართლოს ერთაწმინდაში მომხდარ მკვლელობის ამბავს. მოწმემ არ იცის დანამდვილებით ვინ მოჰკლა კანდელაკი და როგორ, მაგრამ მოკვლის მოწმენტს იგი ხედავდა კანდელაკის ახლო ბიძინაშვილს და მის ამხანაგ—გვარდიელებს, რომლებიც თითქოს სცემდენ მძიმედ დაჭრილ კანდელაკს.

მეეტლე დავ. თათარაშვილმა არსებითად ახალი არაფერი სთქვა. მან განმეორა განცხადება გამომძიებელ ლომაშვილის მიერ ძალდატანებით დაკითხვის შესახებ.

სასამართლოს შეკითხვების შემდეგ გამოირკვა, რომ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონდა.

მეეტლე ხეჩუა გოზალიშვილმა განაცხადა, რომ გამოძიების დროს იგი დაპატიმრებული იყო და რომ მას ძალას ატანდენ და სხვა.

მაგრამ აქაც გამოირკვა, რომ და-

მეცნიერება და ტექნიკა

რა არის მიწის შიგნით.

მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა გამოარკვიეს დედამიწის ფორმა, არც ერთი საკითხი არ იპყრობდა მეცნიერების ყურადღებას ისეთი სიძლიერით, როგორც საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის დედამიწის შიგნით.

უკანასკნელ დრომდე მეცნიერებს შორის გაბატონებული იყო აზრი, რომ მიწის შიგნით, მისი სიღრმეები არის ცეცხლის თხელი გამდნარი მასა ე. ი. გამდნარი ქვებისა და ლითონების მასა. ამას ადასტურებდა ცეცხლის მფრქვეველი მთების ამოხეთქა, რომლის დროსაც მთა დედამიწის პირზე ისვრიდა ასეთ მასას. ამავე აზრს აგრეთვე ადასტურებდა ის გარემოება, რომ ღრმა მაღაროებში თითეული 30—33 მეტრის სიღრმეზე ტემპერატურა 1 გრადუსით მატულობდა. მსოფლიოში ყველაზე ღრმა მაღაროებში (ციხოვის მაღაროები ზემო-სილეზიაში) 2280 მეტრის სიღრმეზე (2 ვერსი და 125 საჟენი) ტემპერატურა 78 პროც. აღწევს.

უბრალო გამოანგარიშებით ნათელი ხდება, რომ 100—120 ვერსის სიღრმეზე არის ისეთი ტემპერატურა, რომ ყველა ქვები და ლითონები გამდნარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ დედამიწა წარმოადგენს თხელ გავარვარებულ მასას, რომელსაც გარს აკრავს მაგარი ქერქი 100—120 ვერსის სისქის. დრო გამოშვებით ეს ქერქი სკდება და ნაპრალებიდან ამოხეთქს გამდნარი მასა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოიშვა ახალი თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ დედამიწის გული თხელი კი არ არის, არამედ მაგარია.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ფიზიკოსმა მასკელინმა გამოიანგარიშა, რომ დედამიწის წონაკუთრი*) (удельный вес) უდრის 5,6.

ამავე დროს კი, ქვების უმრავლესობას, რომელიც მიწაში იმყოფება, აქვს წონაკუთრი 2,6-დან 2,7-დამდი. მაგრამ, რადგან მიწის წონაკუთრი უდრის 5 და 6 შუათედს, მიწის ქერქის შემადგენელ ნივთიერებათა საშუალო წონაკუთრი კი უდრის სამს, მიწის გული უნდა შესდგებოდეს რაღაც უფრო მძიმე მასისაგან, ვინაიდან მხოლოდ მაშინ იქნება დედამიწის წონაკუთრი მისი ზედა ნაწილის წონაკუთრზე მეტი.

მაგრამ ნივთიერებათაგან, რომელიც ჩვენ ვიცით, მხოლოდ რკინასა და ნიკელს აქვთ დიდი წონაკუთრი (7 და 9), აქედან კი ბუნებრივია დასკვნა, რომ დედამიწის გული შესდგება ნიკელის ფოლადიდან.

ამ აზრს ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ დედამიწა წარმოადგენს უზარმაზარ მაგნიტს და მხოლოდ რკინისა და ნიკელს აქვთ მაგნიტური თვისებები, დაბოლოს დედამიწაზე ჩამოვარდნილი ცდომილ ვარსკვლავების უმრავლესობა შეიცავს ნიკელს, დიდი სიღრმიდან ამოხეთქილ ლავაში კი ნახულობენ რკინისა და ნიკელის ნაწილებს.

*) წონაკუთრი არის რიცხვი, რომელიც უჩვენებს, თუ რამდენჯერ მეტს იწონის განსაზღვრული მოცულობის ესა თუ ის ნივთიერება, ვიდრე იმავე მოცულობის წყალი. დედამიწის წონაკუთრი არის—შეფარდება დედამიწის წონისა და იმავე მოცულობის წყლის წონას შორის.

საქ. წითელ ჯვარში

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის ყრილობა ნაცვლად პირველ მაისისა განზრახულია პირველ ივნისისათვის. ადგილობრივი საერთო კრებები კი—15—30 აპრილამდე მოქ. ბრიუდერერ, რომელიც მოჰყვებოდა საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის მიერ გამოგზავნილ ქანიქინას, თანახმად არსებულ დადგენილებისა შვეიცარიელ მოქალაქეთა ბოიკოტის შესახებ, არ იქნა შემოშვებული საქართველოს საზღვრებში; მის ნაცვლად მოდის საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელი რუსეთში მოქალაქე ვერნერი.

7 აპრილს საქ. წითელმა ჯვარმა გადააგზავნა სოფ. ზინოშიანში (უდინთა ახალშენი) წითელი ჯვრის საექიმო პუნქტისათვის მდიდარი აფთიაქი.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის 9 აპრილის ნომერში მესამე გვერდზე დაბეჭდილ ინსტრუქციაში „გლეხთა კომიტეტების გაძლიერებისათვის“ 5 ე მუხლში გაიპარა შემდეგი შეცდომა: დაბეჭდილია: „წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს მ. მეურნ. სასოფლო საგლეხო კომიტეტებს თავისუფალი საფონდო მიწა“... უნდა იყოს: „წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს გადასცეს სასოფლო საგლეხო კომიტეტებს თავისუფალი მიწა“.

■ **ვლ. ი. ლენინის სახელობის მუშათა უბანი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა | კ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ნაძალადევის უბანს დაერქვას ამხ. ლენინის სახელობის მუშათა უბანი.

■ **სანატორიები დაზღვეულ ავადმყოფებისათვის.** სოც. დაზღვევის სამმართველო ამ ჟამად საქ. საკურორტო სამმართველოსთან აწარმოებს მოლაპარაკებას მომავალ საზაფხულო სეზონში დაზღვეულ ავადმყოფების გასაგზავნით.

■ **ფქვილი დამშეულთათვის.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ სომხეთში ბასარგეჩის რაიონის დამშეულ რაიონისთვის გაგზავნა სამი ვაგონი ფქვილი.

■ **სოფლის ღარიბებს მშრომელთა დაქირავება.** შრ. კომისარიატმა წინადადებით მიმართა შრ. დაცვის განყოფილებას და სასოფლო სამეურნეო შრ. ინსპექტორს გამოიმუშაონ პირობები სოფლად ღარიბებს მშრომელთა დაქირავების დროს შრომის ხელფასის მიცემის შესახებ

■ **მცირე წლოვანი მომუშავენი.**—შრ. სახ. კომისარიატმა შრ. დაცვის განყოფილებას დაავალა შეაგროვოს სრული ცნობები მცირე-წლოვან მომუშავეთა შესახებ წარმოებაში. ამ მიზნით პირველ რიგში უნდა დათვალიერებული იქნას შავი-ქვის სამრეწველო.

■ **ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის** ქ. აღმასკომმა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის სპეციალური კიბის შესაძენათ გადასდო 1000 მან. ჩერ.

■ **სახლების აგება.** 1 იანვრიდან დღემდე ქ. აღმასკომში შევიდა 25 თხოვნა კერძო მოქალაქეთაგან სახლების აგების შესახებ, აღმშენებლები მოითხოვენ გარე უბნებში თავისუფალ მიწის დათმობას.

■ **„ქვეყნიერების ისტორია“.** გამოვიდა ვ. მ. მალინინის „ქვეყნიერების ისტორია“ თარგმანი ილია აგლაძის. წიგნში მოთხრობილია: სამყაროს და დედამიწის ისტორია, სიცოცხლის და ადამიანის წარმოშობა, „სულის“ ევოლიუცია, ცხოვრების და ადამიანის ფსიხიკის საფუძვლები და განვითარება, ცხოველების და ადამიანის ნათესაობა. წიგნი შეიცავს 104 გვ. 24 სურათით და ღირს 65 კაპ.

■ **კბილის მოძრავი კაბინეტები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა მოაწყო კბილის ორი მოძრავი კაბინეტი, რომელიც დახმარებას გაუწევს სოფლად ადგილობრივ გლეხებს.

■ **რკინის გზის კოოპერატივის გაზეთი.** ამიერ-კავკასიის რკინისგზის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა გამოსცეს ყოველკვირეული კოოპერატიული გაზეთი.

■ **წიგნები სოფლის მეურნეობისათვის** ახლო ხანში გამოვა ნ. ქეცხოველის მიერ შედგენილი წიგნი სოფლის მეურნეთათვის: „სარეველი მცენარეები და მათთან ბრძოლა“. სახელმწიფო გამოცემა.

■ **ა | კ. ცაკის დროებითი მდივანი** ა | კ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის მდივნის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად დაინიშნა ამხ. ყურულაშვილი.

■ **დახმარება ჯარიდან განთავისუფლებულ წითელ-არმიელებს.** ა | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა წინადადებით მიმართა ა | კ. არეებულ ყველა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტებს, რათა მოაწყონ კომისიები ჯარიდან განთავისუფლებულ წითელ-არმიელებისათვის დასახმარებლად.

■ **ანარიცხების შეტანა დაზღვევის კასაში.** ა | კ. შრ. კომისარიატმა დაადგინა, რომ დაზღვევის კასაში შესატანი ანარიცხები, ვიდრე მტკიცე ფულის კურსი დაწესდებოდეს, უნდა შეტანილ იქნეს იმ დღის კურსის მიხედვით, რომლითაც გაიცემა სამუშაო ხელფასი.

■ **საზღვარ-გარეთიდან შემოსულების შესახებ.** აჭარის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: გაუქმდეს საზღვარ-გარეთიდან შემოსულებზე დადებული ყოველგვარი საკანცელარიო ხარჯები.

■ **სადალაქოები ცის ქვეშ.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა აკრძალა სადალაქოების მოწყობა მოედნებზე და ქუჩებზე—ცის ქვეშ, საერთოდ ისეთ ადგილებზე სადაც ხალხი იყრის თავს.

■ **შენობების დაცვა.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა სამაზრო და საქალაქო აღმასკომებს, რათა დაავალონ სახლის მეპატრონეებს დაუყოვნებლივ შეაკეთონ დაზიანებული შენობები.

■ **რევტრიბუნალის სესიის გამგზავრება.** 6 აპრილს საჩხერეში რევ ტრიბუნალის სესია გაემგზავრა ქუთაისში მოქ. კუპრაშვილის და სხვათა საქმეების გამოსარკვევად.

■ **დეზერტირების წინააღმდეგ.** 12 აპრილს რევტრიბუნალი გაარჩევს წითელარმიელების კაპანაძის და კუხალეიშვილის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ დეზერტირობა.

■ **ბაღების მოვლა.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა გასცა განკარგულება ქალაქის ბაღების, სასაკლაოების და პარკების მოსავლელათ და დასაცავად.

■ **აბრეშუმის თესლის გასაუმჯობესებლად** აბრეშუმის თესლის გასაუმჯობესებლად, ა.-კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს სადგურები. სადგურების ხელმძღვანელებათ მოწვეულნი იქნებიან იტალიელი მეაბრეშუმე სპეციალისტები.

■ **გოგირდის შეძენა.** ა.-კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა იტალიაში შეიძინა 30 300 ფ. გოგირდი, რომელიც 20 აპრილს ჩამოტანილი იქნება ბათომში. გოგირდი განაწილებული იქნება კოოპერატივებს შორის.

■ **სამკურნალო ბალახების დამზადება.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის განმავლობაში შეაგროვოს სამკურნალო ბალახები: ლენქორანში, ახალქალაქში, თეთრ წყაროში, თელავის და თიონეთის რაიონებში

■ **მშრომელ ქალთა პირობების გამორკვევა.** შრ. კომისარიატმა შრ. ინსპექტორ ნ. მახარაძისას დაავალა კომ. პარტიის ცენტ. კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილებასთან ერთად გამოარკვიოს მშრომელ ქალთა სამუშაო პირობები, მათი პროფესია 1913 წ. 1923 წ.

■ **დახმარება უმუშევრებს.** 15 აპრილს დაზღვევის განყოფილება გასცემს აპრილის თვის დახმარებას: ფეიქართა, მკერვალთა და მეტყავეთა სექციათა უმუშევრებზე.

■ **შრომის ბირჟა.** 9 აპრილს შრ. ბირჟაზე გამოცხადდა 305 უმუშ., ახლად ჩაეწერა—57, მოთხოვნილება იყო—52, სამუშაოზე გაიგზავნა—48.

● **ცენტრალური პარტიულ კლუბში.** (ცენტრალურ პარტიულ კლუბში დაიწყო მუშაობა 2 წრემ ლენინიზმის შესწავლის წრის ხელმძღვანელთა მოსამზადებლად (ხელმძღვანელები ამხ. მიასნიკოვი და ნოვიკოვი). მეცადინეობა სწარმოებს ორშაბათობით საღამოს 7 საათზე კლუბის პატარა დარბაზში. ამხანაგები, რომელთაც სურთ ჩაეწერონ ამ წრეებში, უნდა გამოცხადდენ კლუბში ორშაბათს, 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე და ჩაეწერონ წრის მამასახლის ამხ. ლეინთან.

■ **კრების გადადება.** ხუთშაბათს 10 აპრილისათვის თბილისის საფონდო ბირჟის შენობაში დანიშნული ამ.-კავ. შინა-ვაჭრობის კომიტეტის და თბილისის საბირჟო კომიტეტის მიერ მოწვეული კერძო ვაჭართა საზოგადო კრება, რომელზედაც მოსმენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია ფულის რეფორმის, შინა-ვაჭრობის, ვაჭართა კომიტეტის მოწყობის შესახებ, დროებით გადადებულია.

შემთხვევები.

■ **თვითმკვლელობა.** 8 აპრილს, საღამოს 6 საათზე ლარის შესახ. № 6, გრიგოლ ნიკოლაევის ბინაზე სტუმრათ მისულმა პელაგია სტეფანეს ასული ივანოვისამ თავის მოსაკლავათ რევოლვერით თავით დაიჭრა მარჯვენა ძუძუს ქვეშ. დაჭრილი გადაგზავნილია რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

■ **შეპყრობა.** 8 აპრილს საღამოს 9 საათზე შეიპყრეს ნიკოლოზ ოსიპოვი და ბაგრატ გალუსტოვი, რომელთაც ბრალდებათ სხვადასხვა ქურდობის ჩადენა.

■ **გაუპატიურება.** 6 აპრილს ღამით სოფ. ქვასალის (ყარაიაზის სამილიციო რაიონი) მცხოვრებმა ალახვერდ იბრაგიმ-ოღლიმ გაუპატიურა ამავე სოფლის მცხოვრები 18 წლის ქალი ჯანაათ ხაზიმ-კიზი, დამნაშავე შეიპყრეს.

■ **ქურდობა.** 8 აპრილს დღისით, მუხაკოვის ქ. № 14, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. პოლოსა ბუზანდიაცის ბინა. წაღებულია 210 ჩერ მან. ნივთები.

■ ამავე დღეს საღამოს პირაგოვის ქ. № 5, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მოქ. ალექსი ქვათარაძის ბინა, წაღებულია 140 ჩერ. მან. ნივთები.

■ ამავე დღეს მოქ. იაკობ ვასილისძე სანაძის ბაღიდან, რომელიც მდებარეობს საბურთალოში, მოიპარეს არანჟერეის მინები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

■ **თავის დახრჩობა.** 9 აპრილს დილის 10 საათზე ვერის ხიდიდან წყალში გადავარდა 18—20 წლის უცნობი ყმაწვილი, რომელიც დიდხანს ედგა ხიდზე და გადასცქეროდა წყალს და როგორც კი გამვლელ-გამომვლელნი შეეცოტავდა, გადავარდა მტკვარში. გვამი ჯერ-ჯერობით ვერ იპოვეს.

■ **მცხეთის ფოსტა-ტელეგრაფის გამგე რეველის შეპყრობა.** თბ. სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო მცხეთის ფოსტა-ტელეგრაფის გამგე[illegible] ამავე დაწესებულების მოსამსახურე ჯიშკარიანი, რომელმაც აღნიშნულ დაწესებულებიდან მოიპარა 218 ჩერ.

ხელოვნება

„ოქროს მამალი“

ოპერა რიმსკი-კორსაკოვისა.

სახელმწიფო ოპერამ პირველად თბილისში დასდგა რიმსკი-კორსაკოვის ოპერა-ზღაპარი „ოქროს მამალი“.

კომპოზიტორს თავისი ოპერის სიუჟეტათ აღებული აქვს პუშკინის მშვენიერი ზღაპარი. რიმსკი კორსაკოვის ოპერა პოლიტიკური პამფლეტია, რომელშიაც კომპოზიტორი დასცინის მეფის მთავრობის რეჟიმს. აი ამიტომ ამ ოპერას „არ სწყალობდა“ მონარქიული მთავრობა.

ოპერა დადგმული იყო მოსკოვში, მაგრამ პირველი წარმოდგენის შემდეგ ის მოხსნილი იქნა ცენზურის მიერ.

ზღაპრის ძირითადი იდეაა—მმართველი წრეების (ზღაპარში მეფე დოდონი და მისი შვილები გვიდონი და აფრონი) გამოუსადეგრობა სახელმწიფოს მმართვა გამგეობის რთულ საქმისათვის. ოპერაში სამი აქტია პირველი—თათბირი მეფე დოდონთან, სადაც მეფე ეკითხება თავადებს და ბატონიშვილებს, თუ როგორ მოახერხოს მან დასვენება და როგორ მოაწყოს თავისთვის წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრება. გამოჩნდება ვარსკვლავთ-მრიცხველი, რომელიც შესთავაზებს მეფეს ოქროს მამალს; ეს მამალი წინდაწინ იგრძნობს ომის საშიშროებას და იმას, თუ რომელი მხრიდან შეუძლია მეფეს იყოს დამშვიდებული. მეფე აღტაცებაში მოვიდა და დაჰპირდა ვარსკვლავთ-მრიცხველს შეუსრულოს მას ყველა სურვილები. მამალი წყნარათ არის და მეფეც დასაძინებლათ ემზადება, მაგრამ ამ დროს მამალი ატეხავს ყვირილს. თურმე მეფეს მოელის ომი, მაგრამ არ იცის საიდან არის მოსალოდნელი ეს ომი; ის მაინც გზავნის ჯარებს თავისი შვილების მეთაურობით, თვითონ კი... ემზადება დასაძინებლათ, მაგრამ მამალი ისევ ატეხავს ყვირილს. შემდეგ დოდონი თვითონ მიემგზავრება საომრათ, რომ დაიხსნას თავისი შვილები.

მეფე თავის ჯარით მიადგება ერთ კარავს, საიდანაც გამოდის შემახინის მეფის ქალი (ფანტასტიური არსება). მეფეს ავიწყდება საშიშროებაც და შვილების დაღუპვაც. მოხიბლული მეფის ქალით, ის წინადადებას აძლევს მას გაჰყვეს ცოლათ, რაზედაც მეფის ასული თანხმობას აცხადებს. „ომი გათავებულია“—და ყველა დიდის ზეიმით მიემგზავრებიან უკანვე დოდონის სატახტო ქალაქში.

ვარსკვლავთმრიცხველი მეფისაგან მოითხოვს პირობის შესრულებას; ის სთხოვს მეფეს, რომ დაუთმოს მას შემახინის მეფის ქალი. გაჯავრებული მეფე ჰკლავს ვარსკვლავთმრიცხველს. ერთბაშად დაბნელდება, მამალი გადმოდის ადგილიდან, ჩასცემს ნისკარტს მეფეს და ეს უკანასკნელი კვდება. მეფის ქალი და გაცოცხლებული ვარსკვლავთმრიცხველი მიიმალებიან. ოპერა თავდება ეპილოგით.

ოპერის ტექსტში დაცულია პუშკინის ლექსები. მუსიკა მდიდარია კოლორიტული, ზღაპრული ჰანგებით. ოპერაში რამოდენიმე მელოდიური პერიოდია. საუცხოოა დოდონის ძილის სცენა, შემახინის მეფის ქალის არია, საქორწინო მსვლელობა და სხვა.

მაღალი ტესიტურის გამო მეტად ძნელია ვარსკვლავთმრიცხველის პარტია. ხმის დიდ ტექნიკას და მუსიკალობას მოითხოვს შემახინის მეფის ქალის პარტია. ძნელია აგრეთვე დოდონის პარტიაც.

ოპერის დადგმის განხილვის დროს ჩვენ პირველობა უნდა მივაკუთნოთ კ. მარჯანიშვილს. ოპერა მშვენივრათ არის დადგმული, ყოველგვარ ტენდენციოზობის გარეშე. ზედმიწევნით დაცულია ძველი რუსული ზღაპრების სტილი. დაცულია აგრეთვე კოსტიუმების და რეკვიზიტის სტილი. კარგია მასიური სცენები. სცენაზე არ არის მანეკენები, იქ რეალური ცხოვრებაა, რასაკვირველია ზღაპრული ხასიათის.

საერთო დადგმასთან შედარებით მკრთალია „მეფე დოდონის საქორწინო მსვლელობა“.

კარგებია ყველა პარტიების შემსრულებლები. ისეც კი დოდონი კომიკურია, მაგრამ მისი კომიზმი ზომიერია, სიმღერაშიც.

დობროვოლსკაიამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის დამახასიათებელი პარტიების მშვენიერი შემსრულებელია.

ძველის ვარსკვლავთ მრიცხველის მხატვრული სახე მოგვცა კავსაძემ მშვენიერია მასხიობის გრიმი და გარეგნული გამოხატულება. კავსაძემ ადვილათ დასძლია მაღალი ტესიტურა.

მეტად კარგი იყო პოპოვა შემახინის მეფის ქალის პარტიაში. ვოკალურის მარივ შესრულება უნაკლო იყო, მხოლოდ არიაში საჭიროა მეტი მგრძნობიარების ჩაქსოვა.

კარგებია ზავალოვი და ქარციძე გვიდონის და აფრონის ეპიზოდიურ პარტიებში.

ვოევოდას სწორი სახე მოგვცა დემიანენკომ.

ორკესტრში, რომელსაც მეთაურობდა ვანო ფალიაშვილი, დაცულია სტილი, ვ. ფალიაშვილმა შესძლო მშვენიერი ორკესტროვკის და მკაფიო მელოდიური სურათების გამოყოფა.

საერთოდ „ოქროს მამალი“ მიმდინარე სეზონის ერთერთ საუკეთესო დადგმათ უნდა ჩაითვალოს.

პ. ბებუთოვი

■ **ვანო ფალიაშვილის იუბილე.** ხუთშაბათს, 17 აპრილს სახ. ოპერის თეატრში გამართება ვანო ფალიაშვილის იუბილე მისი სამუსიკო ასპარეზზე 35 წ. აღსანიშნავად.

■ **კინო „ტრიუმფი“.** აჭარის სახალხო კომისართა საბჭომ კინო „ტრიუმფი“ საექსპლოატაციოთ გადასცა განათლების სახ. კომისარიატს.

■ **ახალი თეატრ-კლუბი ბაღით.** ქ. აღმასკომის სამშენებლო განყოფილება შეუდგა მელიქიშვილის ქ. და კობიის ქ. კუთხეში მდებარე ცარიელ ადგილზე თეატრ-კლუბის აგებას ბაღით მუშებისათვის.

■ **„მეშტრეში“ პროფკავშირის წევრებ. ს თეატ.** შაბათს, 12 აპრილს პროფკავშირის წევრებისათვის წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის ახალი პიესა „მალშტრემი“. წარმოდგენის წინ ავტორი წინასიტყვაობას გაუკეთებს პიესას.

დღეს თეატრებში

■ **ოპერა** — თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა.

■ **რუსთაველის თეატრი**—თურქული წარმოდგენა.

■ **სახ. სახლი**—ქართული წარმოდგენა.

პროვინციაში

პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაცია

რედაქცია აცხადებს თავის პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაციას.

ყველა ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და სხვა სათანადო ორგანიზაციები, რომელთაც ჰყავთ არჩეული კორესპონდენტები (თუ არა ჰყავთ, უნდა აირჩიონ), აგრეთვე ცალკე პირები, რომელნიც გვიგზავნიდენ კორესპონდენციებს და აქვთ სურვილი შემდეგშიც მოგვაწოდონ ასეთები,—**მაღლაუდი არიან** დაჩქარებით გამოგვიგზავნონ შემდეგი ცნობები:

1.	კორესპონდენტის	ვინაობა (გვარი, სახელი, მამის სახელი).
2.	„	სოციალური მდგომარეობა (გლეხი, მუშა, ინტელიგენტი და სხვ.)
3.	„	პარტიულობა (წინანდელი, ეხლანდელი, პარტიული სტაჟი).
4.	„	განათლება (შინაური, დაბალი, საშუალო, მაღალი).
5.	„	პროფესია, თანამდებობა და სამსახურის ადგილი.
6.	„	წლოვანება.
7.	„	მისამართი.

რეგისტრაცია გაგრძელდება დღიდან ამის გამოცხადების **პირველ მაისამდე**

ადგილობრივ ორგანიზაციებს და ამხანაგებს მოუწოდებთ მოეკიდონ ამ საქმეს საჭირო სიფრთხილით და სერიოზულობით.

მუდმივ პასუხისმგებელ კორესპონდენტებს მიეცემათ ჰონორარი.

ლიხაურის თემი

ლიხაური—ერთ-ერთი მოზრდილი და კულტურულათ თვალსაჩინო თემია მთელ გურიაში.

მდებარეობს ის გურიის სამხრეთ ნაწილში. გეოგრაფიულად, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით ესაზღვრება სამუსულმანო საქართველოს. აღმოსავლეთით მას ჩამოუვლის აჭარაგურიის მთებიდან გამომდინარე აჭის წყალი ეს მდინარე გამოივლის ს. აჭს, რომლის ერთი ნაწილი (ზემო აჭი) დასახლებულია ქარ. მუსულმანებით და შედიოდა და აქამდე ლიხაურის თემის ადმინისტრატიულ ერთეულში, ხოლო ამ ბოლო დროს კი მიეკუთვნა აჭარისტანს.

დასავლეთის მხრით თემს მეზობლობენ აგრეთვე ქარ. მუსულმანები (გოლმა ქობულეთ, ნაცხავატევი). ლიხაურის თემში შედიან უბნები: კვაპალათის, ვაშტიალის, ჭანიეთის, ქაქუთის (გამოღმა) ნიაბაურის, აჭის (ქვედა).

სამხრეთით მას აკრავს ნიაბაურის აჭის, ხოლო დასავლეთით—ჩოლოქის მდიდარი ტყეები.

უკანასკნელი, როგორც შემჩნეულია, მდიდარია ათასგვარ მადნეულობით თემში არის შვიდწლედი შრომის სკოლა, რომელსაც აქვს საკუთარი ბაღი; ეს ბაღი ამხანათ მოუვლელობით ლამის გაფუჭდეს, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

გარე უბნებში კი არსებობს ოთხწლედი სკოლები.

არის წიგნთ-საცავ სამკითხველო (ერთ დროს ჟურნალ-გაზეთებით მდიდარი), რაიც დღეს სავალალო ყოფაშია.

აქვეა კოოპერატივი, ფოსტა ტელეგრაფი, საფერშლო პუნქტი, აფთიაქი და სხვ.

მიუხედავათ ყველა ამისა, უნდა ითქვას, რომ ამანად ერთობ დაცემულ ჩამორჩენილობაშია.

დაცემულია უმთავრესად ეკონომიურ ნიადაგზედ, რასაც ისტორიული გამართლებაცა აქვს. მიზეზი—1918 წ. ოსმალთა შემოსევა, რამაც ერთიან ააოხრა განსაკუთრებით ეს თემი.

ენერგიული, მუყაითი ხალხი ებრძვის სიღარიბეს და იღწვის კულტურულ ფრონტზედაც.

ერთ-ერთმა პაწია უბანმა, მიუხედავათ ნივთიერ უმწეობის, საკუთარი ძალღონით ააგო შესანიშნავი სახალხო სახლი (3 ნიეთი). მეორე მიზეზი თემის ნივთიერ სიღარიბის—სამაზრო ქალაქთან (ოზურგეთთან) შესაფერი მიმოსვლის უქონლობაა.

მიმოსვლას აფერხებს მდ. ბჟუჟა და აჭისწყალზედ ხიდის უქონლობა.

ამ ხანათ ამ ორ მდინარეთა შესართავთან (კლდეს მიჯრით) გადებულია ორი პატარა ხიდი, რომელთაც წელიწადში რამოდენიმეჯერ წაიღებს წყალი. დიდი ზარალია ამ უხიდობის გამო.

ადამიანთა მსხვერპლიც მოუტანია მას. ხიდების წაღების გამო მიმოსვლა (ვიდრე ახალი გაკეთდებოდეს) დიდი-ხნით შეწყვეტილია.

ამ მდინარეებმა შარშანწინდელ წყალდიდობის დროს მთელი ოზურგეთის კინაღამ იმსხვერპლეს

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ მდინარეებზედ მაგარ, რკინის ბოგის აგება. ამ ბოგას დიდი ეკონომიურ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაცა აქვს.

ამის შემდეგ მხოლოდ შესაძლო იქნება ჩოლოქის ტყის მასალის ტ მიდ ხეულობის დაუშვება, რომელიც იქ ბლომათ მოიპოვება. ამასთან ერთად გაცხოველდება მეზობელ ქართველ მუსულმანების, აჭარლების, ქაქუთ-ნაცხავატევს, ლელვა ქობულეთლების მიმოსვლა ქ. ოზურგეთთან. არსებული გეგმის მიხედვით ამავე რიგით ისარგებლებენ როგორც ლიხაულები, ისე მაკვანეთლები. ხიდის აგება ადრე დაიწყებოდა, რომ ნატანებ ოზურგეთის გზას ხელი არ შეეცარა. ეხლა კი, ამ რკინის გზის დასრულების შემდეგ, ამ ბოგაზედ მუშაობის დაწყების ინტერესი გაღვივებულია, მით უმეტეს, რომ უმთავრესი რკინეულობის მასალა მოტანილია.

მივმართავთ ლიხაურის აღმასკომს აიღოს ხელთ ამ საქმის ინიციატივა და ამ თავითვე ჩაუყაროს მას საძირკველი.

მთელი ლიხაურის და მაკვანეთის თემის გლეხ-კაცობა, როგორც ერთი კაცი, ფეხზედ დადგება ამ საქმის გასაკეთებლად თვითოეული ქარ. მუსულმანი (მეზობლათ მცხოვრებნი) და შეგნებული მოქალაქე გურული გაუწევს თანაგრძნობას მათ და გაიღებს შესაფერ წვლილს. მივაქცევ ამ საქმეზედ აგრეთვე სამაზრო აღმასკომის ყურადღებას, რომელიც, ეჭვობ დაინტერესებული მაზრის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებით, გაუწევს დახმარებას მათ, რითაც საჭირო იქნება.

კარდონი.

დ. საზანოს თემი (შორაპნის მაზრა)

დ. საზანოს თემი შესდგება სამი სოფლიდან, მცხოვრებთა რიცხვი უდრის 1040 კომლს. უმრავლესობა არის ღარიბი. აღმშენებლობა ამ თემში 1922 წლამდე არ წარმოებდა. 1922 წლიდან მიიღო ზომები ადგილობრივმა აღმასკომმა შეგნებული გლეხების დახმარებით და აღმშენებლობა დააყენა სათანადო დონეზე. მაგ. არსებობს მთლიანი შრომის სკოლა და ორი შრომის სკოლა, ტექნიკური მხრივ საუკეთესოდ მოწყობილი. აგრეთვე არსებობს კულტურული წრე და დრამატიული დასი, თუმცა დასი არ არის დამტკიცებული, მაგრამ წარმოდგენა—საღამოები ყოველ ზაფხულზე სისტემატიურათ იმართება. ახლა კი სათეატრო დარბაზიც ეწყობა, რომელიც მოთავდება მოკლე დროში და ზამთარშიც შესაძლებელი იქნება საღამოების გამართვა. ასეთმა წრეებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობაზე.

გლეხობა განიცდის სხვ დასხვა გაჭირვებას. მოკლებულია საკმაო საექიმო დახმარებას გახსნილია ერთი საექიმო პუნქტი სამი—დ. საზანოს ზ. საზანოს და თავასის თემისთვის. ეს პუნქტი უმთავრესად ემსახურება ზედა საზანოს თემის მცხოვრებლებს, სადაც არის ის გახსნილი, აგრეთვე დ. საზანოს და თავასის თემების მცირე ნაწილს. დანარჩენი 800 კომლი დ. საზანოსი და ორი მესამედი თავასის თემის სრულიად მოკლებულია საექიმო დახმარებას აღნიშნულ პუნქტიდან. ამიტომ ხშირათ ვრცელდება სხვადასხვა ავათმყოფობა, რომლის აღმოფხვრა ერთ ექიმს არ ძალუძს სამივე თემში. წასულ წლის შორაპნის მ. ჯანმრთელობის განყოფილების გამგე მოქ. ი. პაპიძე, ადგილობრივ თემების დათვალიერების დროს, დაგვპირდა გახსნა იმავე წელში საექიმო პუნქტი,—დროებით საფერშლო მაინც, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა. საჭიროა გაიხსნას თვითეულ თემში თითო საექიმო პუნქტი, თუ არა ეს სამი თემი მაინც გაიყოს ორ სანიტარულ რაიონათ და გაიხსნას კიდევ ერთი საექიმო პუნქტი. სასურველი იქნება, რომ ამ მოგომარეობას ყურადღებას მიაქცევდეს ჯანმრთელობის კომისარიატი.

გლეხობა გაჭირვებას განიცდის აგრეთვე უხიდობით მდინარე ბუჯაზე. საშუალება არ აქვთ კავშირი დაიჭირონ რკინის გზასთან და ბაზართან ქ. ზესტაფონში. აუცილებელ საჭიროებისთვის ქ. ზესტაფონში მიმოსვლის დროს გლეხებს ფეხ-დაფეხ უხდებათ მდ. ბუჯაზე გასვლა. ეს კი ზამთრობით მაინც დიდად მავნებელია. თუმცა ბევრჯერ ააგეს საცალფეხო ხიდი ადგილობრივმა გლეხებმა, მაგრამ ვერ შესძლეს ისე აეგოთ, რომ წყალ დიდობას არ წაეღო, ვინაიდან საჭირო იყო დიდის ძალები და სათანადო დახმარება. აღნიშნულ მდინარეზე ხიდის გაკეთება აუცილებელ საჭიროებს წარმოადგენს ოთხი თემისთვის: დ საზანო, ზ. საზანო, თავასი და მუხური.

დაბლა-საზანოს თემის აღმშენებლობისათვის დიდ წყაროს წარმოადგენდა ამ თემში არსებული საფონდო წისქვილები. კიდევაც ბევრი რამ გაკეთდა ამ წისქვილებით თემში, აგრეთვე ბევრ ღარიბ გლეხებს აღმოჩენია დახმარება ამ წისქვილებიდან უფრო იაფ ფასებში სიმინდის მიწოდებით და სხვა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ეს ფონდის წისქვილები გაფუჭებულ იქნა წასულ წელს, წყალდიდობით ადგილობრივმა საბჭომ მაშინვე მიიღო ზომები წისქვილების შეკეთებისთვის, მაგ-

მუშათა ხმები

მელითონეებში

26 კომუნარის სახელობის სამექანიკო ქარხნის ქარხკომი უკვე შეუდგა თავის მუშაობას, ჩაიბარა ძველ ქარხკომისაგან საქმეები და ანგარიშები. ახალ ქარხკომში არჩეულნი არიან ისეთი ძველი მუშა-ამხანაგები — როგორც ზ. კომოლდინი, მაიერი, დაცკო და სხვ. რომელნიც სავსებით დაიცავენ მუშა-მოსამსახურეთა პროფ-ინტერესებს და გააუმჯობესებენ მუშების მდგომარეობას. ქარხკომმა მოითხოვა ლითონის განყოფილებისაგან მუშების მანუფაქტურით დაზღვევა, მუშებისათვის იაფფასიანი ფეხსაცმელების გამოწერა ტყავის ტრესტიდან, რაც უკვე გატარდა ცხოვრებაში, მუშებს დაურიგდათ სპეც-საპონი სამი თვისა. ქარხკომმა დაისახა მიზნათ გაეცხოველებინა კულტურული მუშაობა ქარხნის კლუბში; გამოიწერა გაზეთები ყველა ენაზე; აწყობს სხვადასხვა წრეებს: დრამატულს, მუსიკალურს, გუნდის მისავე თაოსნობით არჩეულ იქნენ ყველა ადგილობრივ გაზეთებში მუშკორები. გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ში — მუშკორათ არჩ. ნადი სკორინი, „რაბოჩაია პრავდა“-ში ფილიპოვი, „კომუნისტში“ — ელიაშვილი და გაზეთ „მარტაკოჩი“ში ბაბლუმიანი. მუშებს რომ ჯამაგირები კურსზე არ დაეკარგოთ, საჭიროდ დაინახა...

...ეს ვაგბატონები არიან ისინი, რომელნიც დღისით სპეკულიანტობენ ფულით შავ ბირჟაზე და საღამოთი სტკებიან სამიკიტნოებში ღვინის სმით.

ასეთი შემაშფოთებელი მოვლენებს ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო და ის სამიკიტნოები, რომელნიც კლუბის ქვეშ არის და ვაჭრობენ უნდა დაიკეტოს სასწრაფოდ.

მუშკორი ა. დ. მათხოშვილი.

—

რას ჰქავს ეს!

(სასურსათო კომისარიატის სახელოსნოების ხაზურადღებით).

სასურსათო კომისარიატთან არსებობდა ფეხსაცმელების სახელოსნო. ამ სახელოსნოში შეუკვეთეთ ფეხსაცმელები, თითონ სახელოსნოს გამგის წინადადებით. გადავიხადე რამდენიმე მანეთი ჩერვონეცით (ფეხსაცმელების ღირებულების ნახევარზედ მეტი) გადიოდა თვეები, სახელოსნოს გამგე მპირდებოდა, რომ ფეხსაცმელები შეიკერებოდა. ამ დაპირებებში გაუქმდა თვით სასურსათო კომისარიატი და მისი სახელოსნოც. სახელოსნოს გამგე კიდევ მპირდებოდა, რომ შეკვეთილი ფეხსაცმელები იკერება და ჩაბარდებათ პატრონებს. ეს არ გამართლდა, მიუმართე „გრუზკოსტორგის“ ადგილკომს (რომელიც არის სასურ. კომისარიატის...

[illegible]

...სახლმართველობის განკარგულებით, რომ უცაბედ შემთხვევის დროს მოქალაქეს ან რომელიმე დაწესებულებას შეეძლება მიეცეს მით სარგებლობისა.

მორიგე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი № 18.

ს. ს. ს. რ. ყველა დაზღვევის კასებს.

პენსიების და დახმარების რაოდენობის შესახებ.

თანახმად ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა № 7 „პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა და უმუშევრობის დროს დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ“ (იხ. მუშა № 40?), რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველო ა. წ. აპრილის თვიდან ს. ს. ს. რესპუბლიკის მეორე (ტფილისი, ბათუმი, ჭიათურა) და მესამე (რესპუბლიკის მთელი დანარჩენი ტერიტორია) ზოლებთან მიკუთვნებულ ადგილებისათვის აწესებს შემდეგ დახმარებათა რაოდენობას:

	მეორე ზოლისათვის:	მესამე ზოლისათვის:
ბავშვის მოსავლელად (მშობიარობა)	15—20,	12—92
ბავშვის საკვებად	3—80,	3—23
დაზღვეულთა და მისი ოჯახის წევრთა და სამარხათ, გარდაცვალებულის წლოვანების მიუხედავად	15—20,	12—92
1-ლ კატეგ. უმუშევართათვის	7—50,	7—50
მეორე კატეგ. უმუშევართათვის	5—25,	5—25
1-ლ კატ. ინვალიდთათვის	17—10,	14—53
მეორე კატეგ. ინვალიდთათვის	11—40,	9—69
მესამე კატეგ. ინვალიდთათვის	8—55,	7—26
ოჯახისათვის, რომელმაც დაკარგა მარჩენალი და შესდგება:		
ერთი შრ. უნარ მოკლ. წევრისაგან	5—70,	4—84
ორი შრომის უნარ მოკლ. წევრ.	8—55,	7—26
სამი და მეტი წევრთათვის	11—40,	9—69

რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს უფროსი: გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე.
საფონდო განყ. გამგე: თ უ შ ი შ ვ ი ლ ი.

პარტიული და საგზაოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს აირჩიონ დელეგატები სარაიონო პარტკონფერენციაზე.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ ხუთ წევრზე და კანდიდატზე ერთი დელეგატი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხუთზე მეტი წევრი თუ იქნა, ყოველი სამი წევრი და კანდიდატი ირჩევენ ერთ დელეგატს.

არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ამხანაგები, რომლებიც მიღებული არიან პარტიაში დაზგასთან მდგომ მუშების მიზიდვის გამო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იქ, სადაც იაჩეიკა შესაძლებლათ დაინახავს, დასაშვებია პარტიაში ახლად მიღებულ მუშებიდან გაიგზავნოს დელეგატათ რაიპარტკონფერენციაზე არა უმეტეს თითო კაცისა ყოველ იაჩეიკიდან.

რაიპარტკონფერენციაზე დღის წესრიგში დასმული იქნება ორი საკითხი:

1. თბილისის კომიტეტის ანგარიში და 2. არჩევნები ტფილისის პარტკონფერენციის დელეგატებისა.

რაიპარტკონფერენციის გახსნა დანიშნულია ხუთშაბათს, 17 აპრილს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

ქალაქის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი — გ. ს ტ უ რ უ ა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს პოლიტცოდნის სკოლების ყველა ხელმძღვანელებს, რომლებიც არ გამოცხადებულან ხელმძღვანელთა თათბირზე, გამოცხადდნენ 3 დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილებაში მოსალაპარაკებლათ.

თფ. კომიტ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილების გამგე — მ. ც ხ ა ც ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს საქართ. კომპარტიის თბილისის ორგ. ნაწილის ქალაქის რაიონიდან 2 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

კიკვიძე ვასო, ჯაიანი ვლ. დანელია ვლადიმერ, მარშანი პეტრე, მაცაბერიძე ანტონ, იუზბაშიან არტამეს, ჩოლოყაშვილი ქრისტო, მიქელაძე (ბაგდასაროვი) ივანე, ტაბატაძე ქრისტი, ჩიტნაშვილი შალვა, კასრაძე ივანე, დედაბევი არტემი, პატარაძე ნიკოლოზ, ხოშტარია სიმონ, მელკუმოვ აკოფ, პერიაშვილი, წერეთელი დავით, მაცაცაშვილი გრიგორი.

თბ. კომიტ საორგ. განყოფილების გამგე — ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შაბათს 12 აპრილს, დილის 10 საათზე იწვევს პირველი მოხსენების დელეგატების მომხსენებელ კომისიის კ რ ე ბ ა ს.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: დემოკიანოვი (პოლიტიკური სეკრეტარიატი), ქელიძე (პროფკავშირთა საბჭო), ბერძენიშვილი (თფილისის პოლიტიკური განათლების სამმართველო), კვალია (ახალგაზრდათა კომკავშირი), კიდაიში (თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება), მთავრელიძე (ლენინის რაიკომი), კოგანი (არსენალის რაიკომი), თუმანიანი (ავლაბარ-ნავთლუღის რაიკომი), ლურსაკაია (ქალაქის რაიკომი) და ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილების, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების პოლიტიკური სეკრეტარიატის, კავკასიის ცალკე არმიის ბრიგადის პოლიტიკური განყოფილების და პროლეტკულტის წარმომადგენლები.

თფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე.
მ. ცხაცნი.

განცხადებები

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

ნ. 1008—4—2

დღეს, 11 აპრილს
თბილისის საბჭოს სახელმწიფო სადღესასწაულო...

12 აპრილს
წარმოდგენა პროფკავშირებისათვის

13 აპრილს
ოქროს მამალი

15 აპრილიდან განახლდება
გაზეთ „მიწის მუშის“
ყოველდღიურათ გამოცემა.
გაზეთი თვიურათ ღირება — 50 კაპ. პროვინციაში გაგზავნით.
დაკვეთა შეიძლება თბილისში, რუსთაველის პროსპექტი № 24 საქ
ც. ა. ც. კ. გამომცემლობის კანტორიდან. უ. 5—1

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება № 60

მდინარე მტკვარზე ნავებით მოძრაობის შესახებ.

1924 წ. აპრილის 5, ტფილისი.

მდ. მტკვარზე ნავებით მოძრაობის დროს უბედური შემთხვევათა თავიდან აცილების მიზნით ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. წინადადება ეძლევა როგორც ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში სავსებით შეაკეთონ ყველა თავიანთი ნავები, რომლის საშუალებით ისინი აწარმოებენ მდ. მტკვარზე ტვირთვის გადაზიდვა გადმოზიდვას და მოიწვიონ მენავეებათ ამ დარგში საკმარისად გამოცდილი პირები.

§ 2. ევალება § 1-ში აღნიშნულ დაწესებულებებს და პირებს ყოველმა მუშავე ნავზე აუცილებლათ იქონიოს უბედური შემთხვევის დროისთვის საჭირო მაშველი რგოლები, პრობკები და სხ.

§ 3. ნებადართულია მდ. მტკვარზე მომუშავე ნავების მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდის.

§ 4. სასტიკათ ეკრძალება ყველა მოქალაქეებს მდ. მტკვარზე ნავით სეირნობა, ქეიფი და სხვ.

§ 5. ტფ. მ. გ. მილიციის უფროსს ევალება გასცეს სათანადო განკარგულება ზემოაღნიშნულ §§ ის დამრღვევ პირთა დაპატიმრების და ნავების ჩამორთმევის შესახებ სათანადო ოქმის შედგენით.

§ 6 ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირები დაისჯებიან ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ადმინისტრაციული ხელისუფლებით, იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორი თვემდი ან ჯარიმით ას ჩერვონულ მანეთამდი

§ 7. ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინათ გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებები.

§ 8. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თავმჯდომარე ხუხაშვილი.
მდივანი თაქთაქიძე.

ნის. 1019 1—1

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დადგენილებანი.

1. მსხვილფეხა საქონლის გადაზიდვის ტარიფის შესახებ.

დაწესებულ იქნეს დროებით — ერთი წლის ვადით განსაკუთრებული ტარიფი 25 პროცენტიანი შეღავათით მსხვილფეხა საქონლის ვაგონებით გადასაზიდათ (გრ. 34) ყველა სისწრაფის მატარებლებზე ა.-კ. რკინისგზის საზღვრის განაპირა სადგურებიდან ყველა დანარჩენ სადგურებამდე.

დამატებითი გადასახადი საერთო წესით.

2. სამგზავრო მატარებლის სისწრაფით ახალი რძის გადაზიდვის ტარიფიკაციის შესახებ.

დაწესდეს ახალი რძის გადასაზიდათ (გრ. 65, პოზ. 8—10) სამგზავრო მატარებლის სისწრაფით ა.-კ. რკინის გზების ფარგლებში 8 კლასის ტარიფი, არსებული 2 კლასის მაგიერ.

დამატებითი გადასახადი საერთო წესით.

3. ტარიფი რიყის ქვის გადასაზიდათ ბაქოს საბჭოს სახელზე.

განსაკუთრებული გამონაკლისის სახით დაწესდეს 1924 წლის 1 ოქტომბრამდე ტარიფი 10 პროცენტიანი შეღავათით სად. ბალასტიდან ბაქოს აღმასკომის სახელზე გასაგზავნი 1000 ვაგონ რიყის ქვის გადაზიდვისათვის, რომელთაგან 700 ვაგონი უნდა გაიგზავნოს სადგურ სამურიდან და 300 განჯისა და ზაზალისაგან.

ტარიფი ადგილობრივ თამბაქოს გადასაზიდათ კახეთის ხაზზე.

დაწესდეს 1925 წლის 1 იანვრამდე განსაკუთრებული ტარიფი 25 პროცენტიანი შეღავათით ადგილობრივ ფოთოლ თამბაქოს (გრ 107, პოზ. 3) ვაგონებით გადასაზიდათ სად. წყნორის-წყალიდან სადგ. ტფილისამდე.

დამატებითი გადასახადი საერთო წესით.

ყველა აღნიშნული ტარიფები ძალაში შედიან დღიდან გამოქვეყნებისა 7 დღის შემდეგ.

სატარიფო თათბირის თავმჯდომარე: პოზდეევი.
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი: კორენბლიტი.

ნის. 1016 1—1

თბ. აღმასკომი ამით აცხადებს, რომ იცემა შეჯიბრებითი სანარდო მუშაობა თბილისის ქუჩების მოკირწყვლის შესახებ უმეტეს ნაწილად მოკირწყვლა იქნება ნაწარმოები ნაძალადევში როგორც ახალი ქუჩების, ისე ძველის. იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება კონვერტებში სათანადო სადღერბო მარკებით, ქალაქის კეთილმოწყობის ქვე-განყოფილების სახელზე, სამი დღის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა. კონვერტები უნდა შემოიტანონ კეთილმოწყობის განყოფილების კანცელარიაში.

კეთილმოწყობის ქვეგანყოფილების გამგე
მ. ხიხარულიძე.

ნის. 1018—2—1

სახელმწიფო გამომცემლობა
მზადდება დასაბეჭდათ ახალი წიგნი:
ნ. ჟორდანია და ს. დევდარიანი
საქართველოს საკითხი.
შ ი ნ ა ა რ ს ი:
ნ. ჟორდანია — — — — — ჩემი პასუხი.
ს. დევდარიანი — — — — — ეს პასუხი არ არის.
ს. დევდარიანი — — — — — ნ. ჟორდანიას „ბრძოლის საკითხები“ და საქართველოს გზა.
3—3

სახელმწ. უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126).
ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 მდე
748 20 5

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად
746—25—5.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკური მკურნალობას ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
126—25—7

დაკარგე პროფკავშირის წიგნაკი მუშა-მოსამსახურეთა კავშ. № 8442 გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულად აგნესა პავლეს ასული გრიგოლია
ქვ. 818 1—1

სტამბა „...კის“ სამი წყლიანის ქუჩა № 4